პროლეტარებო ყოველი ქვეყნის,

კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

30 ნოემბერი
ოთხშაბათი

1888. ნ. დობროლიუბოვის გარდაცვალება.
1847. ბაკუნინის სიტყვა პარიზში პოლონეთის აჯანყების შესახებ და მისი გადასახლება საფრანგეთიდან.
კომუნისტების კავშირმა მიანდო მარქსს და ენგელსს კომუნისტური პარტიის მანიფესტის შედგენა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირისა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 224 ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 192 წ. № 224

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, წარმოთქმული ს. კ. პ. თბ. ორგან. წევრთა საერთო კრებაზე (22 ნოემბერს).

ამხანაგებო, რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს გადაწყვეტილებას, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, მიღებულს ბაქოში 1921 წლის 2 ოქტომბრის პლენუმზე, რომელსაც დაესწრნენ ა. კ. პ. ც. კ. წევრები, ბ. კ. პრეზიდიუმი, სომხეთის და საქართველოს ც. კ. წევრები, აზერბეიჯანის და სომხეთის ფართო პარტიული და უპარტიო მასსები დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ.

საქართველოში ამ გადაწყვეტილებას [illegible] ს. კ. პ. ც. კ. პასუხისმგებელ მუშაკთა კრება და თბილისის კომიტეტი *).

ჩვენი მტრების ბანაკიდან გვესმის ასეთი სიტყვები: როგორ, რა თვის განმავლობაში თქვენ ებრძოდით საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობას, ახლა კი კავბიურო ერთი გადაწყვეტილებით სპობს ამ დამოუკიდებლობას... ვნახოთ, მართლა ასეა ეს? საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი რომ გამოვარკვიოთ, საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიო მასშტაბით. საჭიროა გავიხსენოთ საქართველოს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ახლო წარსული მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის ხანაში, მოვიგონოთ, თუ რა ნაირი იყო იმ დროს ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა. იმპერიალისტურ ომიდან მსოფლიო გამოვიდა ორ შეურიგებელ ბანაკად გაყოფილი ერთი მხრივ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში გამარჯვებული—ბურჟუაზიული ანტანტა, ხოლო მეორე მხრივ—საბჭოთა რუსეთი, რომელმაც იმპერიალისტური ომის დროს დაამხო კაპიტალისტების და მემამულეთა ძალა-უფლება და რომელიც მეთაურობს ევროპის და აღმოსავლეთის დამონებულ მშრომელ მასსებს. ერთ მხარეზე ანტანტა, მეთაური კონტრ-რევოლუციისა, დრომოჭმულ ბურჟუაზიულ წყობილების საფუძვლების და მეფეების დამცველი, აღმოსავლეთის ძველ მთლიან ხალხთა დამჩაგვრელი, ევროპის მუშების და გლეხების მყვლეფელი, აღმოსავლეთის ხალხების მილიონების თავის ახალშენებად გადამქცევი, მათი ეკონომიურად და პოლიტიკურად შემბოჭველი; ანტანტა, რომელიც დაუზოგველად უწყალოდება აჯანყებულ აღმოსავლეთს, თავის ახალშენების დამონებულ მონებს ცეცხლით და რკინით იმორჩილებს; იმპერიალისტურ ომში დამარცხებულ გერმანიის და ავსტრიის თავის ევროპიულ კოლონიებად აქცევს, თავის ნებაზე განაგებს გერმანიის და ავსტრიის არა მარტო საგარეო პოლიტიკას, არამედ თავისკენ მიერეკება გერმანელი გლეხის უკანასკნელ ძროხას და ძაღლს; ანტანტა, რომელიც აიარაღებს და ოქროთი დახმარებას უწევს რუს კონტრ-რევოლუციონერებს რუსეთის მუშებსა და გლეხებთან ბრძოლისათვის. ეს არის ერთი ბანაკი. მეორე ბანაკია საბჭოთა რუსეთი, შობილი ოქტომბრის დიდი რევოლუციაში; საბჭოთა რუსეთი, რომლის დროშაზე წარწერილია: „მშრომელ მასსების განთავისუფლება იმპერიალიზმის უღლიდან", მცირე ერების განთავისუფლება, რანაირიც არ უნდა იყოს, ჩაგვრისაგან". საბჭოთა რუსეთი, რომელიც მეთაურობს დაჩაგრულთა მსოფლიოს, საბჭოთა რუსეთი, რომელიც აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან. აქ არაა შერიგება, აქ შეუძლებელია შეთანხმება, აქ შეუძლებელია წვრილმანი კომპრომისები, მცირე [illegible] ბრძოლაში; მაგრამ სასიკვდილო ბრძოლა გამოცხადებულია და კითხვა ასე დგას: ან ერთი, ან მეორე. ან მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება, კაპიტალისტური უღლის დამხობა ევროპაში, და ჩაგრულ აღმოსავლეთის განთავისუფლება და საბოლოო გამარჯვება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისა რუსეთში,—ან გამარჯვება კონტრ-რევოლუციისა, რომელსაც მოაქვს ბურჟუაზიულ რეჟიმის განმტკიცება ევროპაში, საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა რუსეთში, ბურჟუაზიულ მონარქიულ მემამულეთა წყობილების აღდგენა, ისტორიაში უმაგალითო თარეში შავი რეაქციისა რუსეთის ყოფილ იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, ლატვიის, ესტონიის, პოლონეთის, ფინეთის დამოუკიდებლობის ყოველგვარ ნიშან-წყალის მოსპობა, ძველი „ურიადნიკის", ბოქაულის და „ისპრავნიკის" თვითნებობის დამყარება, შურისძიება თეთრ-გვარდიელების მხრით მუშების და გლეხების მიმართ, მემამულეების და კაპიტალისტების შურისძიება გლეხებზე და მუშებზე, ჩამორთმეულ მიწების, ქარხნების და ფაბრიკებისათვის, მილიონ მშრომელთა დახოცვა და ჩამორჩენა მშრომელთა სამეფოს დამყარების გაბედვისათვის, განაპირა მცირე ერებთან გაუკუღმართი გასწორება რუსეთიდან მათი გამოყოფისათვის, სახრჩობელა, კატორღა და გადასახლება ყველა ცოცხალ ელემენტებისთვის არა მარტო ყოფილ მეფის რუსეთის იმპერიის მთელ მანძილზე, არამედ მთელს მსოფლიოშიაც...

ჩვენ დღეს გაყოფილნი ვართ ორ ბანაკად. შერიგება შეუძლებელია, ბრძოლა წარმოებს. ყოველი მოქალაქე-რევოლუციონერის მოვალეობაა გაერკვიოს ამ დიდ ბრძოლაში და შეგნებულად დგეს მარცხნივ ან მარჯვნივ. საშუალო გზა არ არის და ის ვინც ამბობს, რომ „მე შუა ადგილი მიკავია", „არ ვეხმარები არც ერთს, არც მეორე ჯგუფს"—ის ან უიმედოდ დაბნეული ვინმეა, ან პოლიტიკური შარლატანი. ესევე უნდა ითქვას ამა თუ იმ სახელმწიფოების შესახებ. აქ არ შეიძლება იყვნენ სახელმწიფოები, რომლებიც იდგომიდიან ნეიტრალიტეტის პოზიციაზე; არ შეიძლება იყვნენ ასეთი სახელმწიფოები რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზედაც. პოლონეთი, მიუხედავად ათასი წინადადებისა საბჭოთა რუსეთის მხრით, შეეკრა მასთან ფრიად ხელსაყრელი ზავი,—წარსულ წელში, საფრანგეთის და ინგლისის კარნახით, თავს ესხმის საბჭოთა რუსეთს. ფინეთი იმავე ანტანტის კარნახით ათეულჯერ ცდილობს დაეცეს ჩრდილოეთის დედა-ქალაქს ან ეხმარება კონტრ რევოლუციონურ ბანდებს წითელი პეტერბურგის დასაპყრობად. ესტონია და ლატვია, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულობის დადებისა, აძლევენ თავშესაფარს და დახმარებას უწევენ ყოველგვარ იუდენიჩებს, ბალახოვიჩებს და სხვა ბანდიტებს, რომელნიც თავს ესხმიან მუშურ გლეხურ რუსეთს. სულ რაღაც ორიოდე კვირის წინედ, პოლონელი გენერალი პილსუდსკი აიარაღებდა, აწყობდა და აძლევდა ორთქლმავალებს და ვაგონებს პეტლიურას და სავინკოვის ბანდიტებს და ატარებდა პოლონეთის საზღვარზე ჩვენს სასაზღვრო პუნქტებზე თავდასახმელად. მაგრამ შეიძლება ჩვენ გვითხრან: „თქვენ ლაპარაკობთ პოლონეთისა, ესტონიისა და ფინეთზე, მაგრამ რა შუაშია აქ საქართველო, საქართველო ხომ არავის ესხმოდა თავს. მენშევიკურ მთავრობას, ნოე ჟორდანიას სახით, არა ერთჯერ განუცხადებია, რომ საქართველო პატარა სახელმწიფოა, მასი მიზანია დაიცვას პატარა საქართველოს ფიზიკური არსებობა და ეკავოს ამ ბრძოლაში სასტიკი ნეიტრალიტეტი. იგი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოა. ვნახოთ, რამდენად შეეფერება სიმართლეს. პირველ ყოვლისა, თავისი დამოუკიდებლობა საქართველომ მიიღო სულთანის ფაშების ხელიდან, მუსავატელ პარტიის ლიდერის მამედ ემინ რასულ ზადეს საშუალებით (იხილე მისი წერილი ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის წლის თავზე 1919 წელში). ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ნაკარნახევი იყო ოსმალეთის ფაშების მიერ, ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსების ერთმანეთისა და რუსეთიდან გამოთიშვის მიზნით. შემდეგ ამ დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის კოალიციის გამარჯვების ხანაში, ბატონობენ გერმანელ-ოსმალეთის ჯარები. გერმანიის და ოსმალეთის გენერლები—წყაროა ქართველ მენშევიკების, ადერბეიჯანელ მუსავატელების, სომეხ დაშნაკელების ხელისუფლებისა. ამ ხანაში მენშევიკები ისე დაბლა ეცემიან, რომ ეხმარებიან სამხარ მასალის მიწოდებაში ოსმალეთის ჯარებს, რომელნიც ბაქოს მუშებს ანადგურებენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ შავმა საქმემ გაიმარჯვა, როდესაც მუშების და უბედური სომხების სისხლით შეიღება ბაქოს ქუჩები, სამხედრო მინისტრი გიორგაძე საპატიო დარაჯით ეგებება ბაქოს მუშების სისხლში ამოსვრილ სულთანის გენერლებს, ხოლო ქართველ მენშევიკების წინამძღოლი და დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ჟორდანია ულოცავს ამ გენერლებს ბაქოს მუშებზე მათი ბრწყინვალე გამარჯვებას... მაგრამ გერმანიის კოალიციას ბედი უმუხთლებს და საბოლოო გამარჯვებას იმპერიალისტურ ომში ანტანტის კოალიციას არგუნებს. ოსმალეთის და გერმანიის გენერლები და მათი ჯარები იცვლებიან ინგლისის გენერლებით და შოტლანდიის ფერადი ჯარებით; საქართველოში გამოჩნდებიან ახალი ბატონებ-პატრონები, და მათაც ესალმებიან ქართველი მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, თითქო გუშინ აქ არავინ ყოფილა, თითქო მოუთმენლად მოელოდნენ ახალ სტუმრებს ამიერ-კავკასიის მმართველნი. ისეთივე მუხლზე ხოხვა ქვეწარმავალებისა მსოფლიო გამარჯვებულების—სისხლიან მჩაგვრელების წინაშე. ინგლისელები—ამიერ-კავკასიის ბატონ-პატრონებია. ინგლისელებია განკარგულების მომცემნი ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები—ინგლისის და საფრანგეთის კოლონიებია. აქ ინგლისელები აწყობენ კონტრ-რევოლუციონურ ბანდებს, აქ იყრის თავს რუსეთიდან მთელი შავრაზმული ბრბო. აქაა რუსეთის მთელი სიბინძურე. აქ სასტუმრო „ორიანტი" მსოფლიო კონტრ რევოლუციის განყოფილებაა, აქაა მისი კავკასიის შტაბი; აქაა „ორიანტში" მთელი კონტრ რევოლუციონერების მთავრობა, მეფის მოხელის ჯაბაგიევისი, მეფის ამალის თეთრგვარდიელ ოფიცრების და ნავთსამრეწველო ჩაპროვევისა, აქ არიან დენიკინის და ალექსეევის წარმომადგენლები, აქაა მენშევიკურ მთავრობის მიერ განსაზღვრული თავშესაფარი და სტუმართმოყვარე კერა ყველა კონტრ რევოლუციონერების, ყველა გენერლების, ყველა მემამულეებისათვის, რომელნიც გამოდევნილ იქნენ და გადურჩნენ რევოლუციის დამსჯელ ხელს; აქაა დევნა და სიკვდილი კომუნისტების და საბჭოთა ხელისუფლების მომხრეების; აქ გამეფებულია ანტანტის ნებისყოფა. მენშევიკური, დაშნაკური, მუსავატელთა მთავრობები—კაპიტალისტური მსოფლიოს მსახური ლაკიებია. განა შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო. ამიერ-კავკასია—ეს ხიდია, ევროპის შემაერთებელი აზიასთან. მეფის რეჟიმის დროს აქ წარმოებდა ბრძოლა რუსეთსა და ინგლისს შორის ბატონობის და აღმოსავლეთის ხალხების ექსპლოატაციის უფლებისათვის. საბჭოთა რუსეთის დროს აქ წარმოებს ბრძოლა რევოლუციის და კონტრ-რევოლუციის გავლენისათვის აღმოსავლეთის ხალხებზე. პატარა საქართველო, რომელიც ჩავარდა ანტანტის ბრჭყალებში დაუყოვნებლივ გარდაქცეულ იქნა კონტრ რევოლუციის იარაღად. მენშევიკები, რომელნიც ამ მსოფლიო ბრძოლაში გარკვეულად დადგნენ კონტრ-რევოლუციის მხარეზე, მათი საუკეთესო მეგობრებს წარმოადგენდნენ. და რომ მენშევიკები ამ უდიდეს ბრძოლაში კონტრ-რევოლუციის მხარეზე დადგნენ, ეს დამტკიცებულია არა მარტო ქართველ მენშევიკების მოქმედებით და ქცევით, არამედ გერმანელ მენშევიკების შეიდემანელების მიერაც. კარლ-ლიბკნეხტის, როზა ლიუქსემბურგის, ლ. ტიშკოს სისხლი-გადაურეცხელი სამარცხვინო დაღია მსოფლიო მენშევიზმის თუჯის შუბლზე. ასეთი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა მენშევიკების დროს. თუ ეს არის დამოუკიდებლობა, ყოველ-შემთხვევაში მხოლოდ დამოუკიდებლობაა რევოლუციისაგან და სრული დამოკიდებულება კონტრ-რევოლუციისაგან. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ისტორიის შეუბრალებელი მსვლელობის მიერ საკითხი პირდაპირაა დასმული: ან ერთი ან მეორე. ან კონტრ-რევოლუციასთან, ან რევოლუციასთან, საშუალო გზა არ არის. მაგრამ შეიძლება გვკითხონ: რანაირია დამოუკიდებლობა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ხომ არ გამომდინარეობს თქვენი სიტყვიდან, რომ საქართველოს არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. და თუ ეს ასეა, რა საჭირო იყო მთელი თქვენი ლაპარაკი დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველოს შესახებ. ვის ატყუებდით თქვენ, რისთვის? ვაცხადებთ სრულიად გულწრფელად და გადაჭრით კატეგორიულად, რომ ჩვენ მომხრე ვართ საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების დამოუკიდებლობის და თვითმყოფობის—ჩვენ შეურიგებელი მტრები ვართ ყოველგვარ ჩაგვრისა და საქართველოს მშრომელ მასსების ყოველგვარ დამოკიდებულებისა კონტრ რევოლუციისაგან. ჩვენ მომხრენი ვართ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა: ქართველების, სომხების, აზერბეიჯანელების განუსაზღვრელი აღყვავებისა, მათი მშობლიური ენის, მშობლიური კულტურის, მათი მშობლიური მწერლობის გაფურჩქვნისა; ჩვენ გულწრფელი მომხრენი ვართ ამ ხალხების შინაური ცხოვრების ისე მოწყობისა, როგორც ეს მშრომელ მასსებს უნდათ. ჩვენ მზადა ვართ სისხლით დავიცვათ ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა საზღვრებზე თავდასხმის დროს, საიდანაც ეს არ უნდა იყოს; ჩვენ მზადა ვართ ჩვენი გულის სისხლით მოვრწყოთ ამ რესპუბლიკების მიწის ყოველი ნაჭერი ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე, ვის მიერაც უნდა იყოს სულ ერთია, თავდასხმის შემთხვევაში. ჩვენ გვესმის ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, როგორც აბსოლიუტური დამოუკიდებლობა კონტრ-რევოლუციისაგან, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია აგრეთვე აბსოლიუტურად საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულობა ერთმანეთისა და მსოფლიო რევოლუციისაგან. საბჭოთა რესპუბლიკები ინტერესები ერთმანეთზე განუყრელადაა გადაწნული. მცირე შეჯახება პატარა საბჭოთა რესპუბლიკის რომელიმე კუთხისათვის თავდასხმას წარმოადგენს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე. საბჭოთა რესპუბლიკები—ეს მტრებით გარშემორტყმულ მშრომელ მასსების განუყრელი რევოლუციონური კავშირია. გარეშე ურთიერთი ეკონომიური, სამხედრო დახმარებისა—საბჭოთა რესპუბლიკებს არ შეუძლიათ არსებობა. საკმარისია 24 საათით განცალკევდეს რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკა და ის დაუყოვნებლივ იქნება მოსპობილი გარშემორტყმულ მტრების მიერ. ავიღოთ საბჭოთა საქართველო. განა მას შეუძლია არსებობა რუსეთის პურს მოკლებულს. განა მას შეუძლია არსებობა აზერბეიჯანის ნავთის გარეშე. განა იგი შესძლებს თავის საზღვრების დაცვას რუსეთის წითელი არმიის დაუხმარებლად. განა მას შეუძლია მოაწყოს თავისი ქართული ლაშქარი რუსეთის წითელი არმიის დაუხმარებლათ.

განა სომხეთს და ადერბეიჯანს შეუძლიათ ცხოვრება ბათუმის პორტსა და რუსეთის პურის მოკლებულთ. განა საბჭოთა რუსეთი არ საჭიროებს ბაქოს ნავთით ისევ, როგორც ადამიანი ჰაერით. განა ჩვენ შეგვეძლებოდა ლაპარაკი ჩვენი მრეწველობის აღდგენის შესახებ, მაშინ, როცა დონის ქვა-ნახშირის აუზი განადგურებულია, რომ ბაქოს ნავთი არ ყოფილიყო. თუ ეხლა დონის აუზში ნახშირის ამოღებამ, რომელიც აგვისტოში 9 მილ. ფუთი იყო, ოქტომბერში მიაღწია 46 მილიონამდე, განა ეს ბაქოს ნავთის წყალობით არ მოხდა რომლის სათბობმა მასალამ სული მოგვითქმევინა. განა ბაქოს ნავთის მრეწველობის ზრდა ზაფხულში 10 მილ. ფუთიდან 14 და 15 მილიონამდე რუსეთის პურისა და ოქროს მეოხებით არ მოხდა განა. შესაძლებელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ არ არსებობს ეკონომიური კავშირი ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და რუსეთს შორის. ვისაც უნდა ლაპარაკი ამის შესახებ, მან დეე უარყოს ჩვენ მიერ ნაჩვენები დებულებანი. შეიძლებოდა სხვა ათასი მაგალითის მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველომ დაამხო მსოფლიო კონტრრევოლუციის სამარცხვინო უღელი და შეიქნა საბჭოთა ქვეყანათ, მან საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი საბჭოთა რესპუბლიკებს. და აქ არის სრული დამოუკიდებლობა, თავის შინაურ ცხოვრების მოწყობის დარგში, სამშობლო ენის, ლიტერატურის, კულტურის დარგებში, სრული დამოუკიდებლობა კონტრ რევოლუციისაგან და განუწყვეტელი პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი ყველა საბჭოთა რესპუბლიკებთან. ეს კავშირი აუცილებლად საჭიროა და გარდაუვალი არის. ყველა საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ბედი, საერთო მწუხარება და საერთო ბედნიერება უნდა გაინაწილოს საქართველომ, თუ მას არ უნდა ხელ-ახლად მოყვეს კონტრ-რევოლუციის შავ ბანაკში, ასე გვესმის ჩვენ დამოუკიდებლობა. ამ შინაარსით გამოვაცხადეთ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა, ამავე შინაარსს ვაძლევთ ჩვენ ეხლა მას, ამას ვემსახურებით ჩვენ კომუნისტური თავდადებით და გულ ახდილობით. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები მიგვიყვანს ჩვენ იმ დასკვნამდის, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნა და შემდეგ ფედერაცია რუსეთთან. ამიერ-კავკასია მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელთა ბატონობის დროს წარმოადგენდა ველურ, თავზე ხელ-აღებულ ნაციონალისტურ შუღლისა და ნაციონალისტურ შეტაკებათა ასპარეზს. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მაღალი მფარველი ინგლისი და მისი აგენტები, რომელნიც ამყარებდნენ თავის ბატონობას პრინციპზე „გათიშე და იბატონე",—პროვოკაციულად აწყობენ ომს საქართველოსა და სომხეთს შორის. თუ საქართველოს და სომხეთის ურთიერთობათა ისტორიას არას დროს არ ახსოვს ომი ამ ორ მოძმე ხალხთა შორის, საკმარისი იყო ხელში ეღოთ ხელისუფლება ეგრედ წოდებულ სოციალისტებს მენშევიკებს და დაშნაკელებს, რომ ორ მოძმე ხალხს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაეწყოთ ერთი ნაგლეჯი მიწის გულისათვის და ასეულ სომეხ და ქართველ მუშების და გლეხების სისხლი დაეღვარათ, ინგლისელ ვაჭართა და მრეწველთა გულის მოსაგებად, რომელთაც ამით ისარგებლეს, რომ გაეძევებიათ როგორც მენშევიკური, ისე დაშნაკური ბანდიტები სადავო ტერიტორიიდან და გამოეცხადებინათ ის ნეიტრალურად, ე. ი. თვითონ აეღოთ იგი თავის ხელში, რაც, მართლაც, სისრულეში მოიყვანეს. მოქცეულებული მენშევიკები და დაშნაკელები იძლეოდნენ განმარტებებს პარლამენტ-სალაყბოში, პირველნი ტფილისში ჟორდანიას სახით, მეორენი—ერევანში. გახელებულ ქართველ ნაციონალისტების შეკითხვაზე, თუ რატომ შეჩერდა ომი და რატომ უშედეგოთ დამთავრდა ის, მხცოვანმა ჟორდანიამ, რომელიც მოხუცებულებაში გადაიქცა მსოფლიო იმპერიალიზმის ლაქიად, დარცხვენილი უპასუხებს კაცი ჰამია ნაციონალისტებს, რომ ომი შეჩერებულ იქმნა, ვინაიდან ინგლისის ჩარევის გამო მან დაჰკარგა თავისი პერსპექტივა... ზედმეტია ლაპარაკი ადერბეიჯანელთა და სომეხთა ურთიერთობაზე.

მთელი ეს ხანა წარმოადგენს ნაციონალიზმის დაურიდებელ თარეშს. მოვიგონოთ ასეული გადამწვარი სოფლები, დანგრეული ქალაქები, მოტაცებული ბავშვები და დედაკაცები, სამარცხვინო, შარშანდელი საბჭოთა ხელის-უფლების გამოცხადების წინ სომხური ქალაქ შუშის დანგრევა, გაუპატიურობა, ხოცვა, ქალების და ბავშვების ჭებში და ორმოებში ჩაყრა. ასეთია ნაციონალიზმის ბატონობის სამარცხვინო ხანა ამიერ-კავკასიაში. გავა დრო, მღელვარება დაწყნარდება და ჩვენი შთამომავალნი წყევლით მოიგონებენ ამ სისაძაგლის გამოწვევათ. აი აქ ამიერ-კავკასიაში, ჩვენ ვილით ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების პირველ მორიგ ამოცანად, რომ დაუზოგველი ბრძოლა ვაწარმოოთ სამარცხვინო წარსულის ნაშთებთან, გახურებული შინით, ამხ. სტალინის თქმისა არ იყოს, ამოვდაგოთ ნაციონალიზმის ნაშთები. ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმობა—აი ჩვენი დევიზი, რასაც შესწირავს მთელს თავის ენერგიას, მთელს თავის გავლენას ჩვენი კომუნისტური პარტია. ჩვენ წილად გვხვდა, ამხანაგებო, წყეული მემკვიდრეობა, მაგრამ ჩვენ უნდა დავსძლიოთ ეს სიძნელე. ნაციონალიზმთან ბრძოლის ერთ ფორმად ჩვენ მიგვაჩნია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია. გაერთიანებულ ორგანოში, საკავშირო საბჭოში, სადაც შეიკრიბებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საუკეთესო წარმომადგენლები, რომელნიც, დასძლევენ რა ყველა წინააღმდეგობებს, ძმურად გადაწყვეტენ ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასსების ბედნიერების და მწუხარების ყველა საკითხებს. ეკონომიურად და პოლიტიკურად ფედერაციის აუცილებლობა ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ისე ძლიერი იყო, რომ ჯერ კიდევ ფედერაციის ფორმების ჩამოყალიბებამდის თვითცხოვრებამ გვიკარნახა რესპუბლიკების ეკონომიური ცხოვრების მთელი რიგი დარგების გაერთიანების აუცილებლობა, როგორიც მაგალითად რკინის გზების, საგარეო ვაჭრობის-საგარეო პოლიტიკის. და განა ჩვენი [illegible] არ მოითხოვს ამ საკითხის საერთო მოწესრიგებას. და განა ჭაობების გაშრობა და მორწყვა არ მოითხოვს ყველა რესპუბლიკების ერთად მუშაობას. განა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების მთელი სამეურნეო ცხოვრება არ მოითხოვს ერთიან გეგმას. ვინ იქნება ისეთი გიჟი, რომ უარ ჰყოს ეს.. განა ჯერ კიდევ კავბიუროს რომელიმე გადაწყვეტილებამდი ყარსის კონფერენციაზე ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები არ იყვნენ იძულებულნი ოფიციალურად განეცხადებიათ ოსმალეთის დელეგაციისათვის, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებობს პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი. განა ყარსის კონფერენციაზე არ გადაწყდა, რომ სავაჭრო ხელშეკრულებას ოსმალეთთან დადებენ ამიერ-კავკასიის არა ცალკე რესპუბლიკები, არამედ გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატი. განა ამ გადაწყვეტილებით გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატი არ იქცევა ეკონომიურ ცენტრად. იქ ხომ არ იყო კავბიუროს რეზოლიუცია. თვით ცხოვრებამ მოითხოვა ჩვენი დელეგაციისაგან ასეთი პასუხი და ეს უკანასკნელი იძულებული შეიქმნა სხვის დაუკითხავად მიეცა ასეთი პასუხი, რომელიც ჩემის აზრით სავსებით სამართლიანია. საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან გეგმას მეურნეობა, საერთო ეკონომიური ორგანო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და რაც ადრე შეიქნება ეს ორგანო, მით უკეთესი იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის. მაგრამ, ამხანაგებო, მენშევიკები და ესერები შეეკითხებიან: რისთვის ეს კავბიურომ გამოაცხადა და არა საქართველოს ცეკამ. ისინი დაიწყებენ ყვირილს: ეს როგორ შეიძლება, თქვენ გიბრძანებს კავბიურო, კავბიურო კი რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ორგანოა. მაშასადამე ეს ბრძანება მოსკოვიდან არის მოსული, თქვენ ანგარიშს არ გიწევენ, თქვენ გიბრძანებენ. ეს როგორი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა"-ოო!.. ნება მომეცით განვმარტო. ჩვენ ყველანი ვართ რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრნი და, როგორც საქართველოს, ისე ადერბეიჯანის და სომხეთის კომუნისტური პარტიები წარმოადგენენ რუსეთის კომუნისტურ პარტიის შემადგენელ ნაწილს. ჩვენ ვდებულობთ მონაწილეობას პარტიის სრულიად რუსეთის ყრილობებზე. ჩვენ წარმოვადგენთ რ. კ. პ. განუყოფელ ნაწილს რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი წარმოადგენს ჩვენი პარტიის უმაღლეს პარტიულ ორგანოს და თუ ცენტრალური კომიტეტი მოგვცემდა ჩვენ დირექტივას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ, ამაში, რასაკვირველია, ვერაფერს დამამცირებელს და შეურაცხმყოფელს ქართველი კომუნისტები ვერ იპოვიდნენ. მაგრამ ვაცხადებ, რ. კ. პ. ც. კ.—ს. არა თუ იმის შესახებ არავითარი დირექტივა არ მოუცია, არამედ მას დღემდის კავბიუროს რეზოლიუციაც არ მიუღია. ვინ შედის კავბიუროში? ის მთლიანად შესდგება კავკასიელებისაგან (ერთი, ორის გამოკლებით): მდივანი, ელიავა, ნარიმანოვი, მიასნიკოვი, ყარაევი, ბაგიროვი, ნაზარეტიანი, პლეშაკოვი, ორჯონიკიძე, კიროვი, ფიგატნერი. ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ ეს ამხანაგები კავკასიელები არ არიან. განვაგრძოთ ქვევით. საკითხი წამოაყენა და მოხ-

---

*) ახლა უკვე საბოლოოდ გამოირკვა ქ. თბილისის პარტიულ და უპარტიო მასსების სრული თანაგრძნობა. რედ.

სენება გააკეთა ამხ. ელიავამ, რომლის ქართველობაში ვერვინ ეჭვს ვერ შეიტანს. მაგრამ დავუშვათ, რომ ეს გამოაცხადა საქართველოს ცეკამ. ხომ დაიწყებდნენ მაშინვე ყვირილს ქართველი ნაციონალისტები, რომ საქართველოს ცეკამ გაჰყიდა საქართველოო. განა კი ჩვენ არ ვიცით, როგორ ყველა ჯურის ნაციონალისტები თავის მოწინააღმდეგე ინტერნაციონალისტების ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მოღალატეებათ აცხადებენ. განა მსოფლიო რევოლუციის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი რუსეთის ბურჟუაზიის მიერ (ჩვენ შორის დარჩეს—საქართველოს მენშევიკების და ბურჟუაზიის მიერაც), 17 წლის გაზაფხულზე არ იქმნა გამოცხადებული გერმანიის ჯაშუშად და ვილჰელმ მეორის აგენტად. განა 17 წლის ივლისის დღეების შემდეგ პრესაში განცხადების სამარცხვინო აქტს ლენინის გერმანიის ჯაშუშად ყოფნის შესახებ ხელი არ მოაწერეს ჩხეიძემ და წერეთელმა: განა წერეთლის, ჩხეიძის და ჩერნოვის მთავრობამ არ გადაწყვიტა ლენინის დაჭერა ვითომდა ჯაშუშობისათვის. და ეს ასე ხდება ყოველთვის. როცა ნაციონალისტებს, ნაციონალისტურ ინტელიგენციას კუდზე ფეხს დააბიჯებენ, ისინი მაშინვე დაიწყებენ ყვირილს, რომ იმათი მოწინააღმდეგენი სამშობლოს მოღალატენი არიან. დიეს, ამით ინუგეშონ თავი. რომ საქართველოს ცეკას აეღო თავის-თავზე ინიციატივა ფედერაციის შექმნის შესახებ, განა სომხის, და აზერბაიჯანის ნაციონალისტები არ აყვირდებოდნენ საქართველოს კომუნისტების წინააღმდეგ, არ დაიწყებდნენ ისინი სისინს, რომ ქართველ კომუნისტებს უნდათ გარდაქმნან ტფილისი ამიერ-კავკასიის სატახტო ქალაქად. რომ სომხეთის ცენტრალური კომიტეტი გამოსულიყო ამ ინიციატივით, განა საქართველოს და აზერბაიჯანის ნაციონალისტები არ დაიწყებდნენ ყვირილს, რომ განადგურებულ სომხეთს უნდა ისარგებლოს საქართველოს და აზერბაიჯანის დოვლათით, ან თუ ამ ინიციატივას აიღებდა თავის თავზე აზერბაიჯანის ცეკა, განა საქართველოს ნაციონალისტები ყვირილს არ დაიწყებდნენ იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანლებს უნდათ ბაქო გადაქციონ ამიერ-კავკასიის სატახტო ქალაქად. რისთვისაა საჭირო ეს ლაყბობა? განა საქმე ამაშია? საქმის არსებითი მხარე ფედერაციის საკითხშია. ყველა სამ რესპუბლიკების ნაციონალისტებს სძულთ ერთმანეთი, ისინი ფედერაციის მტერნი არიან. ჩვენ კი, კომუნისტები: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანლები, ვართ რა რუსეთის კომუნისტურ პარტიის წევრები, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი რუსეთის კომუნისტური პარტია არის III ინტერნაციონალის დამაარსებელი—მსოფლიო რევოლუციის შტაბი, და აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ნაციონალისტების სისინის და ღმუილის დროს, ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად ჩვენი პარტიის და ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების ნებისყოფას გავატარებთ ცხოვრებაში.

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის და ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების ძმურ კავშირს.

ფედერაცია

(კავშირული რესპუბლიკის გამო)

ფედერაცია, ეს პატარ პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირია: რამოდენიმე პატარა სახელმწიფოსგან ერთი სახელმწიფოს შედგენაა, ისე კი, რომ შემდგენელ მხრის მოსახლეობამ თავისუფლება არ დაჰკარგოს. ამნაირათ ფედერაცია ორგვარია: ერთი წარმოადგენს შტატების ან კუთხე მხარეების კავშირს, მაგალითად ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები ან გერმანია, ხოლო მეორე—პატარა ეროვნულ ორგანიზაციების, ან სახელმწიფოების კავშირს, მაგალითად, შვეიცარიის რესპუბლიკა. გამარჯვებული პროლეტარიატი გარემოებისა და პირობების დაგვარათ ორივენაირ ფედერაციას მიმართავს და ამ სახით ის სრულ დემოკრატიულ თავისუფლებას სავსებით ახორციელებს.

მართალია ფედერაციაც ისე, როგორც დემოკრატია თვით ბურჟუაზიამ შექმნა, მაგრამ ბურჟუაზიული, როგორც დემოკრატიზმი ისე ფედერალიზმიც ერთია, ხოლო პროლეტარული კი სხვა.

რა განსხვავებაა არსებითათ ბურჟუაზიულსა და პროლეტარულ სახელმწიფოს შორის?

ის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო, ეს საზოგადოების უმცირესობის დიქტატურას გამოხატავს, ერის სახელით, ხოლო პროლეტარული კი უმრავლესობის კლასის სახელით. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში დემოკრატიზმიც და ფედერალიზმიც მხოლოდ თვალთმაქცობაა შეუგნებელი მასების მოსატყუებლად, მაშინ როდესაც იგივე დემოკრატიზმი და ფედერალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში მასების გასათვითცნობიერებლათ, გასაწვრთნელად და განვითარების უმაღლეს საფეხურზე ასაყვანლად არის შემოღებული.

ბურჟუაზია დემოკრატიზმს იმ იმედით აცხადებს, რომ ამით თვალს აუხვევს საზოგადოების გაყოფილ უმრავლესობას და მას თავს მასზე მზრუნველად მოაჩვენოს. პროლეტარიატი კი დემოკრატიზმს იმიტომ მიმართავს, რომ საზოგადოების მშრომელ ნაწილს, ე. ი. დიდ უმრავლესობას ამ საზოგადოების მართვა გამგეობაში ნამდვილი პირდაპირი აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს.

ასევე ითქმის ფედერალიზმზედაც. ავიღოთ ყველაზე უფრო წმინდა ფორმის ბურჟუაზიული ფედერაცია—შვეიცარიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც ერთ სახელმწიფოში შეკავშირებულია სამი სხვა და სხვა კულტურული ერი: ფრანგები, გერმანელები და იტალიელები. მართალია აქ ეროვნული თანასწორობა და თავისუფლება სრულიად დაცულია და ყველაფერი ფედერალური რესპუბლიკის შემადგენელი ერების სახელით ხდება, მაგრამ ეს ამ ერების მხოლოთ შეძლებული ნაწილის, ე. ი. ბურჟუაზიის სასარგებლოთ მიდის და მის მდგომარეობას ამაგრებს: არსად ევროპაში ისე უდრტვინველად არ იტანს კაპიტალის ექსპლოატაციას მუშათა კლასი, როგორც შვეიცარიაში. მუშათა მოძრაობის ოპპორტუნისტული ფორმა ევროპაში ყველაზე უფრო გამაგრებული (გარდა ინგლისისა) ამ ქვეყანაშია. კომუნისტურ ინტერნაციონალში, ამ პროლეტარიატის მსოფლიო შტაბში, იქაური მუშები და გლეხები დღესაც არ არიან შესულნი; მაშინ როდესაც რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში დღემდე ისტორიულათ ჩაგრული ხალხი—ბაშკირები, მაგალითათ ისტორიულ ასპარეზზე გამოდიან და კულტურულ ერთა მუშებთან ერთათ ენერგიულ მონაწილეობას იღებენ, როგორც კომუნისტურ პარტიაში ისე საბჭოთა აღმშენებლობაში და მოღვაწეობაში.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— მხოლოთ იმას, რომ ფედერაცია ბურჟუაზიის ხელში ემსახურება და ამაგრებს ეროვნულ ოპპორტუნიზმს, ხოლო იგივე ფედერაცია პროლეტარიატის ხელში მშრომელთა მასებს ანიჭებს სრულ დემოკრატიზმს **და ჩაგრულ ერებს კი ნამდვილ თავისუფლებას.**

მაგრამ მეტყვიან: ფედერაცია ზღუდავს ერის სახელმწიფოებრივ სუვერენობას, დამოუკიდებლობას და ამნაირათ იგი შემზღუდველია ერის სრული თავისუფლებისა. მართალი ბრძანებაა, ვეტყვით ჩვენ, ისევე მართალი, როგორც საზოგადოთ სოციალური ორგანიზაცია, საზოგადოება შეზღუდვაა კერძო პიროვნების სრული თავისუფლებისა. სრული თავისუფლება საერთოთ ეს განყენებული აბსოლუტური იდეალია, რომელიც მხოლოთ ანარქისტებს სწამთ და რომელსაც მხოლოთ ისინი „ემსახურებიან“.

თვით ყოველგვარი სახელმწიფოს არსებობის ფაქტი შეზღუდვაა თავისუფლების, ვინაიდან სახელმწიფო, ეს ძალდატანების აპარატია და სხვა არაფერი. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტური მოძღვრება უარჰყოფს ამ ძალდატანების აპარატს უარჰყოფს სახელმწიფოს მომავალში იგი ახლა, ამ გარდამავალ ხანაში მას აუცილებელ საჭიროებათ სცნობს ვინაიდან მარქსის თქმით, „კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შუა არსებობს მთელი პერიოდი“, როცა საზოგადოების პოლიტიკური ფორმა შეიძლება იყოს მხოლოთ პროლეტარიატის დიქტატურა ანუ პროლეტარული სახელმწიფო.

და აი ეს სახელმწიფოც ზღუდავს, როგორც კერძო პიროვნების ანუ ცალკე კლასის თავისუფლებას ისე ერის სუვერენობასაც. როცა საზოგადოებაში კლასები გაჰქრება, როცა კერძო პიროვნების დასამორჩილებლათ გარედან ძალდატანება საჭირო აღარ იქნება, როცა ეროვნული სხვაობა არავისთვის საზიანო არ იქნება, მაშინ სახელმწიფოც საჭირო არაა და ის თვით ბუნებრივათ მოკვდება, გაქრება; მაშინ, ცხადია, ერის სახელმწიფოებრივ სუვერენობასაც არავითარი აზრი და მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინაიდან საერთოთ თვით სახელმწიფოც აღარ იარსებებს. დღეს კი ერს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ეროვნული თავისუფლების, საკუთარი სახის შესანარჩუნებლათ სურს გამოიყენოს; მაგრამ, თუ კი მის თავისებურებას და ეროვნულ პიროვნებას არ ემუქრებიან, მაშინ მისთვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მეტი ბარგია! და თუ დღეს ჩვენში „ფედერაციის გამოცხადების“ გამო ყველა ჯურის ნაციონალისტებმა განგაში და ერთი „ვინ ხარ მამაცი“ ასტეხეს, ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მათ პროლეტარული ფედერაცია ბურჟუაზიულისგან ვერ გაურჩევიათ.

ფედერაცია სწორეთ ის სახელმწიფოებრივი ფორმაა, რომელიც პატარა ერს საშუალებას აძლევს დიდ პროლეტარულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით დიდი ხიფათი თავიდან აიშოროს. რომელიც მას მყვლეფელ დიდ ერებისგან მოელის და იმავე დროს საკუთარი ეროვნული პიროვნებაც სავსებით დაიცვას ვინაიდან მოკავშირე დიდი ერის მმართველი კლასი თვით უარჰყოფს ეროვნულ ძალდატანებას და საქვეყნოთ მტკიცეთ აღიარებს „ერთა თვითგამორკვევის“ და დამოუკიდებლობის უფლების პრინციპს, რომელიც მანვე დაუდვა საფუძვლათ პროლეტარულ ფედერაციას. ბურჟუაზიული სახელმწიფო კი ამას უარჰყოფს და ერს ერთხელ შეერთებულს საბოლოოთ ტოვებს დიდი ერის ბურჟუაზიულ ექსპლოატატორულ კლანჭებში და მას ნებას არ აძლევს აქედან ოდესმე თავი დააღწიოს. ყოველივე ამას მოწმობს ინგლის—ირლანდიის დამოკიდებულება, ხოლო მეორე მხრით ველიკოროსთა და უკრაინელთა სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ნათლათ გვიჩვენებს, თუ რას მოასწავებს და რას გვიქადის პროლეტარული ფედერაცია.

ფედერაცია ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმაა, რომელიც ერთი მხრით მართალია რამდენიმეთ ზღუდავს ეროვნულ სუვერენობას, მაგრამ მეორე მხრივ საუკეთესოთ ემსახურება შეკავშირებულ ერთა საერთო ეკონომიურ და სამხედრო საჭიროებებს, რაც თავი და თავია და როცა ეკონომიური საჭიროებისათვის საერთოთ სახელმწიფო საჭირო აღარ იქნება. მაშინ ფედერაციაც მეტი ბარგი გახდება და საზოგადოება მასაც თავიდან მოიშორებს.

მაგრამ ეს საზოგადოება არ იქნება ძველი, არამედ ის სულ ახალ საფუძველზე იქნება აგებული, ე. ი. ის იქნება კომუნისტური საზოგადოება, სადაც არავითარ სახელმწიფოს ადგილი არ ექნება.

ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ახლანდელ გარდამავალ ხანაში ფედერაციის სახით სახელმწიფო თავის ისტორიულ დანიშნულებას შეასრულებს, ე. ი. მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურას მთელ ქვეყანაზე თანდათანობით გაატარებს და საზოგადოების კლასებათ დაყოფას ბოლოს მოუღებს.

ამ ნაირათ ერი პროლეტარული ფედერაციის განხორციელებით პაწია უმნიშვნელო მსხვერპლით—სახელმწიფოებრივ სუვერენობაზე რამოდენიმეთ შეზღუდვით უდიდეს შედეგებს აღწევს.

ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო პროლეტარიატის **დიქტატურა** რუსეთის დიდი რევოლიუციის საშუალებით ყოფილ რუსეთის იმპერიის შიგნეულში **რუსეთის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის დაარსებით გამოიხატა:** ეს მხოლოთ ჩანასახია ამ დიქტატურის, რომელიც კომუნისტური პარტიის პროგრამით მსოფლიო კომუნისტურ რესპუბლიკათ უნდა გადაიქცეს.

მართალია ეს დიქტატურა, როგორც სხვა ყოველი დიქტატურა სრულყოფისაკენ მიისწრაფვის, მიილტვის, რომ ყველგან ყველაფერი „თავის ხატათ და მსგავსათ“ შექმნას, როგორც ამას წარსულ საუკუნეებში ბურჟუაზია ჩადიოდა და ახლაც ჩადის. მაგრამ ამ მისწრაფებას გზა და გზა დროის მსვლელობაში სხვა და სხვა გარდაუვალი დაბრკოლება ელობება, მას განხორციელება სხვა და სხვა პირობებში უხდება, ამიტომ პროლეტარიატი თავის დიქტატურას ამ დაბრკოლებებისა და პირობების მიხედვით ზღუდავს. მან თავისი დიქტატურის განხორციელების პირველ ეტაპზე თავი შეიზღუდა ერთი მხრით გლეხკაცობას, ხოლო მეორე მხრით ჩაგრული ერების საჭიროება-ინტერესებით.

მხოლოდ ამით აიხსნება, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ერთი მხრით მუშების და გლეხების სახელმწიფოთ არის გამოცხადებული და არა მარტო მუშების, ხოლო მეორე მხრით იგივე სახელმწიფო „ერთა ფედერაციათ“ არის აღიარებული და არა მარტო რუსების რესპუბლიკათ.

„ერთა ფედერაცია“, ეს იგივე ერთა სუვერენობაა სახელმწიფოებრივათ, მხოლოთ რამდენიმეთ შეზღუდული.

რაჟდენ კალაძე.

(შემდეგი იქნება)

იხ. *) „კომუნისტი“ № 223.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ხელის მოწერა გაზ. „რუსეთ ც. კ. აღმასკომის უწყებებზე“.

მოსკოვი, 29 ნოემბ. (რადიო). დაიწყო ხელის მოწერა გაზ. „რუს. ც. კ. აღმასკომის უწყებებზე“. ხელის მოწერის პირობები შემდეგია: პირველ თვეში შინ მიტანით მოსკოვში 40,000 მან., პროვინციაში გადაგზავნით—45,000 მ. ცალკე ნომერი—2,000. პარტიულ, მუშათა და პროფკავშირების ორგანიზაციებს, სამკითხველოებს, წითელ არმიელთა კლუბებს და ცალკე მუშებისათვის, რომლებიც კი წარმოადგენს სათანადო მოწმობებს ფაბრიკა-ქარხანათა კომიტეტებიდან—მიიღებენ გაზეთებს მოსკოვში ან პროვინციაში გაგზავნით 25.000 მან. თვეში. მოთხოვნა გადმოგზავნის შესახებ უნდა გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ტვერის ქ. 48, „რ. ც. კ. აღმასკომის უწყებათა“-ს კანტორა.

ვინაიდან ცოტა დრო დარჩა 192 წლის იანვრამდი, გაზეთის გადაგზავნის შეჩერების თავიდან ასაცილებლათ ხელის მოწერა უნდა დაჩქარდეს ვთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განცხადება.

ნანსენი რუსეთში.

მოსკოვი, 28 ნოემ. (რადიო). ვარშავიდან მოსკოვისაკენ მოგზაურობის დროს, ნანსენს საბჭოთა ბელორუსიის საზღვარზე შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები. მისასალმებელი სიტყვების საპასუხოთ ნანსენმა ხაზი გაუსვა თავის კეთილ განწყობილებას საბჭოთა რუსეთთან და გამოსთქვა თავისი დაპირება რომ, ის ყოველ ღონისძიებით დაეხმარება ვოლგის მხარის დამშეულებს. „მე ვფიქრობ, სთქვა ნანსენმა, რომ დახმარების საქმეში უნდა მივიმხროთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და მე ამას შევძლებ“.

ამხ. ლენინის სიტყვა

მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე 29 ოქტ.

იხ. „კომუნ.“ № 222.

აი როგორ მივაღწიეთ ყოველივე იქამდე, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ. ერთი მხრით საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვება მძიმე ბრძოლის შემდეგ, რომელიც ახასიათებდა 1917—18 წლებს და რაც აღფრთოვანებდა ხალხს; მეორე მხრით—საბჭოთა მთავრობის მიერ ახალი პოლიტიკის ცდა, რომელსაც უნდა მოეხდინა პირველი განძრახვით თანდათან ცვლილება, ახალ წყობილებაზე უფრო ფრთხილი გადასვლა, რაც გამოიხატა, სხვათა შორის ჩემ მიერ მოყვანილ პატარა მაგალითშიაც. ამის მაგიერ, ჩვენ მივიღეთ, როგორც პასუხი, მტრის მხრიდან შეურიგებელი ბრძოლის წარმოების გადაწყვეტილება იმის გამოსარკვევათ, შეუძლია თუ არა იარსებოს საბჭოთა ძალაუფლებამ, როგორც სახელმწიფომ, არსებულ საერთაშორისო ეკონომიური სისტემის პირობებში. ეს კითხვა შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ ომით, რომელიც, თავის მხრით იყო არაჩვეულებრივათ ფიცხელი, როგორც სამოქალაქო ომი. რაც უფრო მწვავე ხდებოდა ბრძოლა, მით უფრო ძნელი შესაძლებლობა რჩებოდა ფრთხილი გადასვლისათვის. ბრძოლის ამ ლოღიკით ბურჟუაზია, ვთქვი მე, იქცეოდა სწორათ. ხოლო რა შეგვეძლო ჩვენ გვეთქვა? „ბატონო კაპიტალისტებო, თქვენ ვერ დაგვაშინებთ ჩვენ. ჩვენ ამ სფეროშიაც დაგამარცხებთ თქვენ იმის შემდეგ, რაც თქვენ დამარცხდით პოლიტიკურ ასპარეზზე თქვენი დამფუძნებელი კრებით“. სხვაგვარათ ჩვენ არ შეგვეძლო მოვქცეულიყავით. ყოველი სხვანაირი გამოსვლა ჩვენის მხრით მომასწავებელი იქნებოდა პოზიციის მთლათ დათმობისა.

მოიგონეთ ჩვენი ბრძოლის პირობები და თქვენ გაიგებთ რაში მდგომარეობდა ეს ცვლილება, რომელიც გვეჩვენება, როგორც შემთხვევითი და შეცდომა, რატომ იყო, რომ ჩვენ დაყრდნობილებმა საერთო ენთუზიაზმზე და უზრუნველყოფილ პოლიტიკურ უპირატესობაზე, რომელიც ჩვენ გვქონდა, შევძლებით ადვილათ გაგვერეკა დამფუძნებელი კრება და იმავე დროს უნდა გვესინჯა ზომათა მთელი რიგი ეკონომიური რეფორმების თანდათან და ფრთხილათ გასატარებლათ და რატომ. დამარცხების, ბრძოლის ლოღიკამ და ბურჟუაზიის წინააღმდეგობამ გვაიძულა ჩვენ მიგვემართა უკიდურესათ გაძლიერებულ სამოქალაქო ომისთვის, რომელმაც ანგრია რუსეთი სამი წლის განმავლობაში.

1921 წლის გაზაფხულზე გამოირკვა, რომ ჩვენ დავმარცხდით ცდაში უშუალო შეტევით ე. ი. ყველაზე უფრო მოკლე გზით, ჩქარა გადავსულიყავით წარმოებისა და განაწილების სოციალისტურ საფუძვლებზე. ამ გაზაფხულში შექმნილ პოლიტიკურმა გარემოებებმა დაგვანახვა ჩვენ, რომ მთელ რიგ სამეურნეო კითხვებში აუცილებელია უკან დახევა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის პოზიციაზე საჭიროა გადასვლა უშუალო შეტევის ტაქტიკიდან შემოვლითი სტრატეგიაზე.

თუ ასეთი გადასვლა იწვევს ზოგიერთებში უკმაყოფილებას, დრტვინვას, გულგატეხილობას, უნდა ითქვას, რომ იმდენად სახიფათო არ არის დამარცხება, რამდენად სახიფათოა თვით შიში იმისა, რომ იცნო ეს დამარცხება და აქედან საჭირო გაკვეთილები გამოიყვანო. სამხედრო ბრძოლა უფრო მარტივია და ადვილი, ვინემ სოციალიზმის ბრძოლა კაპიტალიზმთან და ჩვენ დავამარცხეთ კოლჩაკები იმიტომ, რომ არ გვეშინოდა გვეცნო ჩვენი საკუთარი დამარცხება და შეცდომები, არ გვეშინოდა გვესწავლა მათთან ბრძოლაში მიღებული გაკვეთილებიდან, გაგვესწორებინა გლახათ გაკეთებული ან დაუთავებელი საქმეები.

ასევე უნდა მოვიქცეთ უფრო რთულ და ძნელ სფეროში, რომელსაც წარმოადგენს სოციალისტურ ეკონომიკის ბრძოლა კაპიტალისტურის წინააღმდეგ. არ უნდა გვეშინოდეს ვიცნოთ ჩვენი დამარცხება. უნდა ვისწავლოთ დამარცხების გაკვეთილებიდან, ვისარგებლოთ იქიდან მიღებული გამოცდილებით. უნდა გავასწოროთ მუყაითად დაკვირვებით, ფრთხილად, სისტემატიურად ის, რაც ცუდათაა გაკეთებული. თუ მართალია, რომ დამარცხების ცნობა ადუნებს ზოგიერთების ბრძოლის ენერგიას, უნდა ვთქვათ, რომ ასეთი რევოლიუციონერები არაფრად არ ვარგიან.

მე კი იმედი მაქვს, რომ იმ ბოლშევიკებზე, რომლებიც გამოწრთობილი არიან სამი წლის სამოქალაქო ომის გამოცდილებით, ვერავინ ვერ იტყვის ამას გარდა ზოგიერთ გამონაკლისისა. ჩვენი ძალა იყო და არის იმაში, რომ ფხიზლათ ანგარიში გაგვეწია თვით უმწვავეს დამარცხებისაც კი და აქედან ვისწავლოთ თუ სად და როგორ უნდა გამოვასწოროთ შეცდომები. ამიტომ საჭიროა სიმართლე ვაღიაროთ პირდაპირ. ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო თეორიტიული ჭეშმარიტების თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულათაც. ჩვენ ვერ ვისწავლიდით იმას თუ როგორ გადავწყვიტოთ ჩვენი ამოცანები ახალი საშუალებებით, თუ ადრინდელი გამოცდილება თვალს არ აგვიხელდა გადადგმული ნაბიჯების შეცდომებზე.

ახალ ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლის ამოცანა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ უშუალო სოციალისტური აღმშენებლობის შემდეგ უჩვეულეს პირობებში, სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ბურჟუაზიამ გვაიძულა გვეწარმოებია სასტიკი ბრძოლა—ჩვენთვის შეიქნა 1921 წელში გარკვეული მდგომარეობა: არა უშუალო სოციალისტური აღმშენებლობა, არამედ ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში უკან დახევა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისკენ, არა უშუალო შეტევა, არამედ ფრიად ძნელი, მძიმე და არა სასიამოვნო მუშაობა მტრის პოზიციის თანდათანობით შემოვლის, რომელიც დაკავშირებულია მთელ რიგ უკან დახევასთან. აი რაა საჭირო, რომ შევუდგეთ ეკონომიური კითხვის გადაწყვეტას ე. ი. რომ უზრუნველვყოთ ეკონომიური გადასვლა სოციალიზმის საფუძვლებზე.

მე არ შემიძლია დღეს შევეხო ციფრებს და ჯამებს, ან ფაქტებს, რომლებიც დაგვანახვებენ თუ რა მოგვცა ჩვენ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებამ. მოვიყვან მხოლოდ ერთ პატარა მაგალითს. თქვენ იცით, რომ ერთი ცენტრთაგანი ჩვენი ეკონომიკის არის დონის ქვანახშირის აუზი. თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს იქ უდიდესი კაპიტალისტური წარმოებანი, რომლებიც დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ წარმოების სიმაღლეზე დგანან. თქვენ იცით აგრეთვე, რომ თავიდანვე ჩვენი ამოცანა იქ მდგომარეობდა იმაში, რომ აღგვედგინა მსხვილი კაპიტალისტური წარმოებანი. მცირე რიცხვიანი მუშებით ჩვენთვის უფრო ადვილია დონის მრეწველობის აღდგენის დაწყება. ხოლო რას ვხედავთ ჩვენ ახლა იქ, გაზაფხულზე პოლიტიკის შეცვლის შემდეგ? ჩვენ იქ ვხედავთ წინააღმდეგს: ყველაზე უფრო ვითარდება წარმოება წვრილმან გლეხურ მაღაროებში, რომელიც გაცა იჯარით. ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის დამოკიდებულებათა განვითარებას. გლეხების მაღაროები კარგათ მუშაობენ და სახელმწიფოს აძლევენ საიჯარო სახით ამოღებული ნახშირის 30 პროცენტს. წარმოების განვითარება დონის აუზში მაჩვენებელია მისი გაუკეთესების შედარებით წარსული ზაფხულის კატასტროფიული მდგომარეობისა და ამაში არა მცირე როლს თამაშობს წარმოების გაუკეთესება წვრილ მაღაროებში, მათი ექსპლოატაცია სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის საფუძვლებზე. მე არ შემიძლია შევეხო აქ ყველა სათანადო ფაქტების გარჩევას, მაგრამ თქვენ ნათლათ დაინახავთ თუ რა შედეგი მოყვა პოლიტიკის შეცვლას. ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლება, ხოლო ეს ჩვენთვის უაღრესათ საჭიროა, ნაყოფიერების გადიდება, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება ისევ უაღრესათ,—ყოველივე ეს ჩვენ მივიღეთ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სისტემისაკენ დახევით. ჩვენი შემდეგი უნარისაგან ე. ი. იმისაგან თუ რამდენათ მოხერხებულათ გავატარებთ ჩვენ მომავალში ამ პოლიტიკას, იქნება დამოკიდებული, რამდენათ ხელსაყრელი იქნება შემდეგი მუშაობა.

ახლა მე ვუბრუნდები ჩემი უმთავრესი აზრის განვითარებას. ჩვენი გადასვლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, ჩვენი უკან დახევა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის მეთოდებისაკენ,—საკმაოა თუ არა, რომ შევაჩეროთ უკან დახევა და გადავიდეთ შეტევაზე? არა,—ეს კიდევ არ არის საკმაო. და აი რატომ. თუ ჩვენ გავიხსენებთ იმ მაგალითს, რომელზედაც მე თქვენ მოგითხრობდით დასაწყისში (უშუალო შეტევაზე და შემოვლითი სიმაგრის აღებაზე) იმას და მიხედვით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ კიდევ არ დაგვისრულებია ჯარის ახალი გადაჯგუფება მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, გადანაწილება მატერიალური ძალების და სხვ. ერთი სიტყვით არ დაგვითავებია ახალი ოპერაციისთვის მზადება, რომელიც ახლა ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის მიხედვით, სხვა ნაირათ უნდა მოეწყოს. თუ ჩვენ განვიცდით ახლა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმზე გადასვლას, საკითხავია, უნდა მოვახერხოთ თუ არა ის, რომ ძველმა მეთოდებმა, რომლებიც შეეფერებოდა წინანდელ ეკონომიურ პოლიტიკას, ჩვენ ხელი არ შეგვიშალონ? თავის თავად ცხადია—და გამოცდილებამ დაგვიმტკიცა ეს—რომ ჩვენ ეს უნდა მოვახერხოთ. გაზაფხულზე ჩვენ ვამბობდით, რომ არ შეგვეშინდება დავუბრუნდეთ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს და ჩვენი ამოცანათ ვცხადებდით სწორეთ საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგებას. მთელი რიგი დეკრეტების, უამრავი სტატიები, მთელი პროპაგანდა და კანონმდებლობა ამ წლის გაზაფხულიდან დაწყებული მიმართული იყო საქონლის გაცვლა გამოცვლის განვითარებისაკენ. რას ნიშნავდა ეს? როგორია ეს აღმშენებლობა? განზრახული იყო ცოტათ თუ ბევრათ სოციალისტურათ გვეწარმოებია მთელ სახელმწიფოში გაცვლა მრეწველობის პროდუქტების სასოფლო მეურნეობისაზე და ამით აღგვედგინა მსხვილი მრეწველობა, როგორც ერთად ერთი ბაზა სოციალისტური ორგანიზაციისთვის. რა მივიღეთ აქედან? აღმოჩნდა—ეს თქვენ ახლა შესანიშნავათ იცით პრაქტიკიდან და ამას ხედავთ თქვენ მთელი ჩვენი პრესიდან,—რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე არ მოხერხდა, არ მოხერხდა იმ აზრით, რომ ის გამოიხატა ყიდვა—გაყიდვაში. და ჩვენ იძულებულნი ვართ ვიცნოთ ეს თუ არ გვსურს სიმართლე დავმალოთ, თუ არ გვინდა თავი წარმოვიდგინოთ ისეთებათ, რომლებიც ვერ ხედავენ თავის დამარცხებას, ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს თვალი გაუსწოროთ საფრთხეს. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ უკან დახევა არ არის კიდევ საკმაოთ შორს წარსული, რომ საჭიროა კიდევ დახევა, ისეთი დახევა, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმიდან გადავდივართ ყიდვა—გაყიდვისა, ფულის ტრიალის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებაზე. საქონლის გაცვლა-გამოცვლიდან არაფერი გამოვიდა, კერძო ბაზარი ჩვენზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და საქონლის გაცვლა გამოცვლის მაგიერ მივიღეთ ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა.

უნდა შევეგუოთ მას, თუ არა და ყიდვა გაყიდვა და ფულის ტრიალის სტიქია ჩაგვთრევს!

აი რატომ ვართ ჩვენ იმათ მდგომარეობაში, რომლებიც იძულებულნი არიან კვლავ უკან დაიხიონ, რომ გადავიდნენ [illegible] შეტევაზე. აი რატომაა საჭირო ყველამ ვიცნოთ, რომ ძველი ეკონომიური პოლიტიკა იყო შეცდომა. ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ, რომ გამოვარკვიოთ რაშია დღეს მდგომარეობის ცენტრი, რაში გამოიხატება თავისებურება იმ გადასვლის, რომელიც უნდა მოვახდინოთ ჩვენ. გარეშე ამოცანები არ დგანან ჩვენ წინ, ამ წამს როგორც გადაუდებელი რამ. არ არიან აგრეთვე არც სამხედრო ამოცანები. ჩვენ წინ არის ახლა უმთავრესათ ეკონომიური ამოცანები და ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უმახლობელესი გადასვლა მოხდება არა უშუალოთ სოციალისტურ აღმშენებლობაზე.

ეკონომიურ მუშაობას ვერ გაუსწორდით ჩვენ კიდევ ჯერ ამ სამი წლის განმავლობაში. ისეთი ეკონომიური დაშლის სიღარიბისა და კულტურული ჩამორჩენილობის პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება მოღვაწეობა, ასეთი ამოცანის გადაჭრა ასეთ მოკლე ხანში შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ შეტევას უშედეგოთ არ ჩაუვლია.

(დასასრული იქნება)

კაპიტალიზმის სამეფოებში

ამერიკა

ვაშინგტონის კონფერენციის გარშემო.

ბერლინი. 25 ნოემბერი (რადიო). „ივენინგ სტანდარტ" იტყობინება: მიუხედავად იმისა, რომ ინგლის-ირლანდიის მოლაპარაკება კრიტიკულ მდგომარეობაშია, ლოიდ ჯორჯი ფიქრობს დეკემბერში ვაშინგტონში გამგზავრებას, ლოიდ ჯორჯს იმედი აქვს რომ მისი იქ ყოფნა დაეხმარება განიარაღების საქმეს.

ინდოეთი

ინდოეთის ამბების გარშემო

მოსკოვი, 28 ნოემბერი (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან: რომ ინდოეთში ბრიტანეთის რაზმს მოულოდნელად თავს დაესხა აჯანყებულები და მოჰკლეს 4 და დასჭრეს 4 ინგლისელი. აჯანყებულებმა კი დაჰკარგეს 234. ეს იყო ყველაზე დიდი ბრძოლა. 100 აჯანყებული გააგზავნეს დახურული ვაგონებით სატუსაღოებში. როდესაც მატარებელი მივიდა დანიშნულ ადგილას აღმოჩნდა, რომ 56 კაცი დამხრჩვალიყო ვაგონში, 8 კაცი გარდაცვლილ შემდეგ. ინგლისის ლიბერალური გაზეთები მკაცრათ აკრიტიკებენ ასეთ სისასტიკეს.

— მიღებულია ცნობები ბენგალის პროვინციაში აჯანყების შესახებ. აჯანყება მოხდა ერთ ერთ პლანტაციაში, მთავარი ინვენტარი გაძარცვეს ევროპიელების სახლები ერთიანად დასწვეს. კალკუტაში გამოუშვეს პროკლამაცია, 170 ინდოელის ხელმოწერით, რომლებიც აცხადებენ, რომ მიუხედავად ბენგალის პროვინციების მოხალისეთა ორგანიზაციების უკანონოდ გამოცხადებისა მთავრობის მიერ, ისინი შედიან ბენგალის მოხალისეთა კორპუსში.

იტალია.

ნანსენის განცხადება.

რომი. 13 ნოემბერი, რომში ყოფნის დროს ნანსენმა განაცხადა: „თითონ ევროპა დაინტერესებულია რუსეთის დახმარებით, ვინაიდან რამდენადაც მეტად დასუსტდება ეკონომიურათ რუსეთი იმდენად ნაკლები კეთილდღეობა იქნება ევროპაში. ევროპა ისე უნდა მოეპყრას მშიერ რუსეთს, რომ ის არ გაკოტრდეს. ნანსენმა გამოთქვა თავისი რწმენა, რომ იტალია უთუოდ დაინტერესებულია რუსეთის დახმარებით, რადგანაც ის შემდეგში გახდება მისი საქონლის გასასაღებელ ფართო ბაზრად". „მე, განაგრძობს შემდეგ ნანსენი, მამოქმედებს განსაკუთრებით ჰუმანიური მოტივები. მიუხედავად ამისა მე უნდა ხაზ-გასმით ვთქვა, რომ რუსეთის დამშეულ ხალხის დახმარება მჭიდროთ დაკავშირებულია საგარეო, ეკონომიურ და პოლიტიკური საკითხებთან, რომლების უყურადღებოთ დატოვება არ შეიძლება არა თუ რუსეთის, არამედ ევროპის ინტერესების გამოც".

მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივში

საქონლის გასატან წიგნაკებზე, რომლებიც ეძლევათ ქალ. თბილისის მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის წევრებს, „ლიუქსემბურგ" დუქნის №, რომლის რაიონშიაც სცხოვრობს კოოპერატივის წევრი, ეს ხდება კოოპერატივის წევრთა რაიონებად დაყოფის მიზნით, რომლებიც ითვლებიან ამ ჟამად 15.000 კაცზე მეტი, და უახლოეს დროში კი ეს რიცხვი ორჯელ მაინც უნდა გადაიდეს.

კოოპერატივის წევრებს, აქვს უფლება საქონლის ყიდვისა, რომელ დუქნიდანაც სურთ.

ამ ჟამად მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის მიერ გახსნილია 5 საერთო სხვა და სხვა მაღაზია შემდეგ რაიონებში—დუქნების №№ ფურის კომისარიატის №№ ს. დუქანი № 1—ოლღას ქ.—ზემელის აფთიაქის პირდაპირ. № 2. რუსთაველის ქ. № 10. № 7—კახეთის მოედანი № 56. № 8—19 თებერვლის ქ. № 10. № 10—პირიკოვისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე. ამას გარდა გახსნილია: სარძეო-სადასტრონომიო მაღაზია № 1 პუშკინის ქ. 3 თევზის საწყობი დუქანი—პუშკინის ქ. № 5.

ლენინის საწყობი № 5. ორთაჭალაში. ვორონცოვის ქ. № 21. და აგრეთვე კიდევ ერთი დუქანი მე 10 უბნის რაიონში. დუქნები ღიაა დილის 9 ს. საღამ. 5 საათამდე მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის წევრთათვის დაწესებულია 5 პროცენ. დაკლება საქონლის საერთო ფასებიდან ზოგიერთი საქონელი კი დაჯავშნულია და ეძლევათ მხოლოდ მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის წევრებს დაწესებულ ფასებში, არა უმეტეს განსაზღვრულ ნორმისა. მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის წევრებს საქონელი ეძლევათ პირველ რიგში.

ქრონიკა

◆ **ნავთის გატანა.** ჩვენი ნავთის საზღვარ-გარეთ გაცხოველებული გატანა ეწყობა. ნავთი მიდის არა სპეკულიატურ ბაზარ—სტამბოლში, არამედ ინგლისსა და იტალიაში. ნოემბრის 21-ს ბათომში მოვიდა ჩასახმელი გემი „ტივია" ინგლის—საქართველოს სანავთო სამრეწველო საზოგადოებისა, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისგან 6,000 ტონა ნავთის ჩასხმით მისაღებათ. მიდის მეორე გემი „ლედი ელეონორა", რომელმაც უნდა წაიღოს თან 1,700 ტონა ნავთი, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სტამბოლის განყოფილების მისამართით. ბათომში იტალიიდან მიღებულია საქონელი, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის ნაყიდი. ეს საქონელი—2 მილიონ იტალიურ ლირის ღირებულებისაა. მათ ასანაზღაურებლად მიეცემათ ნავთი ფუთი 14 ლირად.

◆ **ფქვილი მარსელიდან.** ბათომში მარსელიდან მოვიდა გემი „დმიტრიი ინგლიდის", რომელმაც თან მოიტანა 1,400 ტონა ფქვილი.

◆ **ტფილისის მაზრის რევკომების ყრილობა.** ტფილისის მაზრის სარაიონო და სათემო რევკომთა პირველმა ყრილობამ საქართ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სახელზე გადაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც საქარ. კომუნისტ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიესალმება, როგორც ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს მშრომელ მასის ბრძოლას კაპიტალთან მშრომელ ხალხის თავისუფალ შრომისა და იდეალების განხორციელების მისაღწევად.

— **შრომის სახ. კომისარიატის შტატების შემცირება.** შრომის სახ. კომის. მიერ შედგენილ რეგისტრაციით მისი შტატი მის ცენტრალურ დაწესებულებებში დაყვანილ იქნება 60 კაცამდე, ე. ი. სამჯერ უფრო ნაკლებ, ვიდრე რ. ს. ფ. ს. რ. საგუბერნიო განყოფილებისა. მაისში შტატები აღწევდა 145 კაცამდე, მაგრამ ამის შემდეგ რამდენჯერმე მოხდა შემცირება. შემოღებული იქნა საქმის წარმოების ცენტრალიზაცია, რამაც მოგვცა შეძლება მოგვეხდინა შტატების მაქსიმალური შემცირება. რესპუბლიკის ყველა სამაზრო განყოფილებებისათვის განზრახულია დამყარდეს მტკიცე შტატი 75 კაცისაგან. მენშევიკების დროს შრომის სამინისტროს შტატი შესდგებოდა 38 კაცისაგან, მაგრამ იგი შეიცავდა მაშინ მხოლოდ სეკრეტარიატს, პალატას, დამზღვევ კასას, სოციალურ უზრუნველყოფას და თბილისის გუბერნიის შრომის კომისარიატს, მაგრამ არ იყო არც შრომის ბირჟა, არც სამაზრო განყოფილებები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაარსებული იქნა პროვინციის განყოფილებანი, რითაც აიხსნება შტატების ასეთი გაზრდა.

— **სტუდენტთა აგრონომიული წრე.** სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სტუდენტთა აგრონომიული წრე 4 ამა დეკემბერს დილის 11 საათზე ხსნის წრესთან დაარსებული სასოფლო სამეურნეო მუზეუმს და წიგნთსაცავს. დღიური წესრიგი: 1) სტუდენტთა მოხსენებები: ა) „ჩვენი წრე და მისი მიზნები", ბ) „მასალები მუხრანის რაიონის ხეხილთა მევენახეობის შესასწავლათ". 2) დათვალიერება მუზეუმის და წიგნთსაცავისა, რომლის დროსაც ჩვენი სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგში წარმოდგენილი მასალების შესახებ საჭირო განმარტებებს თვით სტუდენტები მისცემენ. დასწრება ყველას შეუძლია. (მუზეუმი მოთავსებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთახი № 15-ში).

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში** კურსი შემოკლებულია სამ წლამდე ყველა ფაკულტეტზე, სამკურნალო ფაკულტეტს გარდა, რომელზედაც სწავლის კურსი გაგრძელდება ხუთ წელიწადს.

რევკომების ყრილობა

საღამოს სხდომა 23 ნოემბერი

ამხ. ავალიანის მოხსენება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ავალიანი ჩერდება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაზე.

ამჟამად ჩვენ ვუნდებით—ამბობს ამხ. ავალიანი,—ორგანიზაციულ მუშაობის წარმოებას. ჩვენ ვიღებთ მაგალითად რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უდიდესი აპარატს, როგორც ნიმუშს, და შევუფარდებთ იგი საქართველოს სინამდვილესთან. ხოლო ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიხედვით ჩვენ გვიხდება მეცადინეობა ორგანიზაციისათვის და ეს ხანა ჯერ კიდევ მალე არ დამთავრდება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთავარი და ძირითადი მიზანია—მრეწველობის მოწესრიგება. დასწყისში, ამბობს მომხსენებელი,—როდესაც ჩვენ შევუდექით სახალხო მეურნეობის უმაღლესის შედგენას და მის მოწყობას, ჩვენ მოგვიხდა მუშაობა სრულიად არა ნორმალურ პირობებში, როდესაც არ მოიპოვებოდა ნედლი მასალა და მანქანები გაცვეთილი იყო. ჩვენ შევუდექით ნედლი მასალის, იარაღების და სხვა საგნების აღრიცხვას. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოში ყველა ამაების დიდი მარაგი მოიპოვებოდა, მაგრამ შედეგი სამწუხარო აღმოჩნდა. საქართველოს მსხვილი ნაწარმოებნი არსდებოდნენ ნედლი მასალის შემოტანის იმედით. კარგად მოწყობილ წარმოებანი 1914 წლიდან არ შეკეთებულან და მათი მოწყობილობა სრულიად უვარგისი შეიქმნა დაბოლოს. მთავარი ყურადღება საქართველოში უნდა მიექცეს დამუშავებითი მრეწველობას.

შავი ქვა.

პირველ ადგილზე სდგას შავი ქვა. უდიდესი საბადო შავი ქვის ადგილისა, რომელსაც უჭირავს 126 კვ. ვერსი იწვევს აღტაცებას და გაკვირვებას ყველა დასავლეთ ევროპის მეცნიერთა და სპეციალისტების შორის. ჭიათურის შავი ქვა აკმაყოფილებს ერთ მესამედს მთელი ქვეყნის მოთხოვნილებისას. ამ ჟამად არ სწარმოებს შავი-ქვის დამუშავება, რადგანაც გასატანად დამზადებულია 50 მილიონზე მეტი,—მარაგი, რომლის გაზიდვას უნდა ორი წელიწადი.

ქვა-ნახშირი.

ტყიბულის ქვა-ნახშირს ჩვენ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. თუმცა ეს ნახშირი არაა განსაკუთრებით მაღალი ხარისხისა, მაგრამ მას შეუძლია დააკმაყოფილოს რკინის გზის დასავლეთის ნაწილი. მენშევიკების შემდეგ ჩვენ მოგვიხდა მიგვეღო ზომები მაღაროების აღსადგენათ. რომლებიც უვარგისი იყვნენ. ყოველ-დღიური ნახშირის ამოღება აღწევს 10 დან 12 ათას ფუთამდე.

ცეცხლის მძლე თიხა.

მის დასამუშავებლად სადგ. ძირულის ახლო არის ქარხანა „შრომა". ეს ქარხანა ამუშავებულია პირველ მაისიდან და ამარაგებს ცეცხლის მძლე აგურით ჩვენ წარმოებებს, ნავთკომს და კასპიის ფლოტს.

ნავთის მრეწველობა.

მიღებულია ზომები ამ მრეწველობის შესაქმნელად. ბაქოდან გამოწერილია სპეციალისტ-მუშები, ნავთის კომიტეტმა კი მოგვცა ხელსაწყო იარაღი და ახლა ჩვენ კახეთში შევუდექით მუშაობას. ნავთის დამუშავებასთან ერთად სწარმოებს გამოკვლევაც. არის ადგილები, რომლებიც წარმოადგენენ ნავთის დამუშავებისთვის სერიოზულ წყაროებს.

მარილის მრეწველობა.

ნორიის და მარტყოფის რაიონებში შეუდგნენ ახალ სახის მრეწველობას. აქ მოწყობილია აუზები, სადაც ილექება მარილი და ყოველ დღიურად ამუშავებენ 12 ფუთ მარილს.

ჯერ-ჯერობით როგორც ნავთის აგრეთვე მარილის მრეწველობას,—ამბობს მომხსენებელი, არ ექნება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მაგრამ ადგილობრივი მრეწველობისათვის ისინი დიდ როლს ითამაშებენ.

შეშის დამზადება.

ტყის მრეწველობა საქართველოში დაყენებულია არა რაციონალურად. ძვირფასი ჯიშის ტყეს აქამდის არ ამუშავებდნენ აქ, არამედ გაჰქონდათ საზღვარ-გარეთ და იქიდან ღებულობდნენ დამუშავებულის სახით. ჩვენ მივაქციეთ ყურადღება შეშის დამზადებას. თუმცა დამზადების დრო გამცდარი იყო, ვინაიდან შეშის დამზადება უნდა დაწყებულიყო შემოდგომიდან, ჩვენ კი შევძელით დამზადების დაწყება მხოლოდ გაზაფხულიდან, მაგრამ ცოტა რამის გაკეთება მაინც შევძელით. ჩვენ არ ვმალავდით, გავიძახოდით, რომ სათბობი მასალის კრიზისია და ჩვენი აქტიური [illegible] ჩვენს თავს გადავარჩენდით: ჩვენ შევძელით დაგვემზადებინა იმდენი შეშა, რამდენიც არას დროს არ დამზადებულა, მით უმეტეს მენშევიკების დროს.

რკინის გზის ლიანდაგზე მიტანილია 12 ათასი კუბ. საჟენი შეშა და თუ გზა მოახერხებს ამ შეშის გამოზიდვას, კრიზისი ძლეულ იქნება. ამათან ერთად დამზადებულია შპალები არა თუ მარტო საქართველოს, არამედ სომხეთის და აზერბეიჯანის რკინის გზებისთვისაც.

მცხეთის ახლო პროფკავშირებმა მოაწყეს შეშის დამზადება; იქ უკვე დამზადებულია 300 კუბამდე, ყარაიასის რაიონიდან ყოველ დღე მოაქვთ 30 ვაგონამდე შეშა და ბევრი დაწესებულება უზრუნველყოფილია შეშით; მაგალითად, მუშათა სასახლე უზრუნველყოფილია მთელი წლით.

ხაშური ხე-ტყე.

თბილისის და პროვინციის ხე-ტყის ქარხნები რიგზე მუშაობენ და სეზონის გასვლამდე ჩვენ სრულიად უზრუნველყოფილი ვიქნებით ხე-ტყით. ს. მ. უ. ს. სატყეო განყოფილებამ აამუშავა დურგლის სახელოსნო, აქვს აგრეთვე მორკალულ დგამის საფაბრიკო და სადურგლო ფაბრიკები.

თამბაქოს მრეწველობა.

კარგ მდგომარეობაშია თამბაქოს მრეწველობა: თამბაქოს ფაბრიკები მუშაობენ რიგზე, გამართულად წარმოებამ ერთი ორათ გადააჭარბა ს. მ. უ. ს. მიერ დანიშნულ გასაკეთებელ საქმეების რაოდენობას, ხოლო ზოგიერთმა ფაბრიკებმა გადააჭარბეს ომის წინანდელ წარმოებას. იბადება შიში, ვაი თუ ნედლი მასალა არ ეყოთ, თუმცა აბხაზეთის იმედი აქვთ. ნედლი მასალის ნაკლებობა აიხსნება თამბაქოს კულტურის სივრცის შემოკლებით, რაც გამოიწვია მენშევიკების მიერ თამბაქოს მონოპოლიის შემოღებამ.

ზეთისა და საპნის მრეწველობა

ზეთისა და საპნის ქარხნებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ არა თუ მარტო საქართველო, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებაც, ეხლა ეს ქარხნები აშენებულია სხვაგნიდან მოტანილ ნედლი მასალის იმედით, ხოლო ეს მასალა ამ ჟამად მეტად ნაკლებია.

ტყავეულობის და ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა.

ტყავეულობის მრეწველობა სატირელ მდგომარეობაშია, ქარხნები შემთხვევით მუშაობენ. ლითონის დამამუშავებელი მრეწველობა ემსახურება რემონტს და არა მასიურ წარმოებას. ამ მხრივ დიდი ლითონის შემზადება. სპეციალურ კომისიის დასკვნით, ჩათახის ქარხანა ბორჩალოს მაზრაში, აშენებული ფრანგების მიერ და გაჩერებული 40 წლის წინათ, რიგზე რომ მოიმართოს, შეიძლება არა თუ საქართველოს დაკმაყოფილებას ლითონით, არამედ საზღვარ-გარეთ გასატანადაც დაამზადებს საქონელს. ამ ქარხნის მანქანები დაუზიანებელია და რიგზე გამართული, საჭიროა მხოლოდ ძველი კონსტრუქციის დომენის ღუმელების შეკეთება. თუ მთავრობა საშუალებას აღმოაჩენს, ქარხანა ამოძრავებულ იქნება და შესაძლებელი შეიქმნება ქარხნის ღუმელების გადაკეთება იმნაირად, რომ სათბობი მასალა ნაკლები დასჭირდეს.

შარა გზები.

გაფუჭებულ გზების მოწესრიგებამ აუცილებელ საჭიროებათ გახადა საგზაო ბიუჯეტის შესახებ დეკრეტი შემუშავებინათ. მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს საქართველოს სამხედრო შარა გზას. ეს გზა უნდა ღია იყოს ზამთარშიაც, რადგანაც სურსათი მოიზიდება არა მარტო რკინის გზით, არამედ საქართველოს სამხედრო შარა გზითაც.

მორწყვა.

მორწყვა—სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს დამსახურებას წარმოადგენს. ამ წლის გვალვამ ძალიან შეაშინა გლეხები და ჩვენს სურვილს დავხვდით მათ მორწყვით—გლეხები აღფრთოვანებით შეეგებნენ. პირველი ცდა წარმოებულ იქნა ქუთაისის გუბერნიაში, შემდეგ ქართლში და ეხლა ყველგან სწარმოებს 10 ზე მეტ ადგილას, გლეხების უახლოეს მონაწილეობით. ქუთაისის გუბერნიაში გლეხებმა თვითონ მოაწყეს [illegible] გამოსვლა.

მიმდინარე ეკონომიური პოლიტიკა.

ამხ. ავალიანი მოხსენების საბოლოო სიტყვაში ეხება ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში ახალ კურსს. ეხლა ჩვენ უნდა დავსძლიოთ ეკონომიური ნგრევა და ამ დროს კერძო კაპიტალთან ვიწყებთ არა ხელსაყრელ საქმიანობას. ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს საკუთარი ძალების. კომპარტიის არსებობის ხანაში მოგვიხდა გადაგვეცადა ბევრი საფრთხე, და ჩვენ გვძლევდით ამ გაჭირვებასაც. კომუნისტური პარტია ძლიერი პარტიაა, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაშინებს,—ათავებს მოხსენებას ავალიანი.

მოხსენებამ გამოიწვია ბევრი შეკითხვა რაზედაც მომხსენებელმა ყველას გასცა პასუხი. სხვათა შორის იყო აღნიშნული, რომ ბევრ განზრახვათა შეუსრულებლობის მიზეზი არის ფულის უქონლობა. ერთ პასუხში მომხსენებელმა განმარტა, რომ ავჭალის შუშის ქარხნისათვის რუსეთიდან გამოწერილია კვალიფიციური მუშები, ქარხანა ნედლი მასალით უზრუნველყოფილია, მუშაობას უკვე შეუდგნენ. ელექტროფიკაციის სფეროში ძლიერ ბევრია გაკეთებული, ადგენენ გრანდიოზულ გეგმას, მაგრამ მის განსახორციელებლად საჭიროა საკითხის დეტალურად დამუშავება. თეთრი ნახშირის დამუშავება გვიხდება გადავდოთ კონცესიით, რადგანაც დიდ ხარჯებს ითხოვს. ორი კვირის შემდეგ გორში ამუშავდება მენშევიკების მიერ დანგრეული არყის სახდელი ქარხანა.

წარმოებით პროფკავშირებში

ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელთა შორის.

ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლების ცხოვრებაში ამა წლის 11 ნოემბერი წითელი ასოებით არის აღსანიშნავი. ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი ფ. ტ. სკოლას. სადაც ამ უწყების უსწავლელ და ცოტათი ნასწავლ თანამშრომლებს მიეცემათ საშუალება თავისუფალი დრო გაატარონ სკოლაში და შეიძინონ როგორც კლასიკური ისე პოლიტიკური განვითარება. მწარედ მოსაგონარია ნიკოლოზის რეჟიმის დროს ჩვენი უწყების თანამშრომლებს არ ქონდათ საშუალება განვითარებით გონების, რადგან მაშინ მათი თავისუფალი დრო 24 საათში განისაზღვრებოდა მხოლოდ 7—9 საათით.

მენშევიკების დროს თავისუფალი საათები მეტი ქონდათ, მაგრამ მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ გონებრივ განვითარებას, და უმეტესობა თავისუფალ დროს ატარებდნენ ღვინის სმაში და კარტის თამაშში.

საბჭოთა მთავრობა კი, ღრმად არის დარწმუნებული, რომ ცოდნაში არის ძალა.

ქუთაისის ფ. ტ. რაიონულმა კომიტეტმა დაინახა რა მიზნათ განთავისუფლება მუშების უცოდინარობისგან და სიბნელისაგან, შეძლო გაეხსნა სკოლა ორ საფეხურიანი, პირველი, წერა კითხვის უცოდინართათვის და მეორე ცოტათი მცოდნეთათვის, მოიწვია მასწავლებლები, შეიძინა შესაფერი ბინა, სახელო წიგნები და სხვა. წევრები ჯერ ჯერობით არიან 39 მდე. მეცადინეობა სკოლაში იქნება ყოველ დღე საღამოობით 5 საათიდგან. შეიცავს ნორ, რა იქნება როგორც კლასიკური ისე პოლიტიკური. კვირაში ორჯელ წაკითხული იქნება ლექციები სხვა და სხვა თემებზე. განზრახულია მოკლე დროში გახსნას ტექნიკური განყოფილებაც.

როდესაც ყოველივე ეს შესრულებული იქნა, კომიტეტმა მოიწვია სკოლის გახსნის აღსანიშნავად საზოგადო კრება.

დარბაზი, სადაც კრება შესდგა იყო მორთული მწვანე ფოთლებით და რევოლუციის ბელადების სურათებით. უკრავდა ორკესტრი. საღამოს 7 ნახევარ საათზე კრება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კუპრავამ. მუსიკამ შეასრულა ინტერნაციონალის ჰიმნი. კრებას დაესწრო ყველა თანამშრომელი გამოუკლებლივ. კრებაზე მოწვეული იყვნენ პარტიული კომიტეტის პასუხის მგებელი მდივანი ამხ. მ. გახოკია, სახალხო განვითარების ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელი ამხ. კვაჰიძე და პროფკავშირების კულტ-განყ. გამგე ამხ. ალ. სტურუა.

სამივე ორატორმა კრებას ვრცლად გააცნეს მნიშვნელობა სკოლის და განმარტეს თუ როგორ სიბნელეში იმყოფებოდნენ წინად მუშები და როგორ ზომებს ღებულობს საბჭოთა მთავრობა უცოდინარობის ლიკვიდაციად.

ორატორის სიტყვებს კრება აჯილდოვებდა მხურვალე ტაშით და ორკესტრი ასრულებდა ინტერნაციონალს. ორატორების სიტყვებით კრება კმაყოფილი დარჩა და სრული თანაგრძნობით შეხვდნენ მათ მოწოდებებს.

აღსანიშნავია ამავე კომიტეტის კულტ. განმ. განყოფილების გამგის ამხ. მაზარაძის ენერგიული და დაუღალავი მუშაობა, რომელიც თავგადადებით მუშაობს მუშების საკეთილდღეოთ.

კრება დაიხურა საღამოს 9 საათზე და ყველანი კმაყოფილნი დაიშალნენ. შეიძლება ითქვას, რომ ფ. ტ. მუშების და მშრომელი ინტელიგენციის უმრავლესობა მოწამლულნი მენშევიკების აგიტაციით და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დემაგოგიით, დღეს რწმუნდებიან რომ მხოლოდ საბჭოთა მთავრობა შეუძლია განთავისუფლება—მუშების და არა მატყუარა სოციალისტ გამყიდველ პარტიის მენშევიკებისას.

რომანი.

ხის დამმუშავებელთა და მშენებელთა კავშირში.

რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებიდან კავშირის პროვინციის განყოფილებათა წარმომადგენლები აგზავნიან მოხსენებებს პროვინციაში მუშაობის შესახებ. ირკვევა, რომ განყოფილებანი ადგილებზე აწარმოებენ მრეწველობის აღდგენას და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარების მუშაობას. პროფ მუშაობა პროვინციაში გამოცოცხლდა, მაგრამ ხის დამმუშავებელთა და მშენებელთა გაერთიანება არ გატარებულა სრულიად.

მოისმინა, რა მოხსენება, კავშირის პლენუმი აღნიშნავს პროვინციის მუშაობის გამოცოცხლებას, მაგრამ ხაზს უსვამს პროფესიონალურ და ეკონომიურ მუშაობის გაფართოების საჭიროებას.

კავშირის პრეზიდიუმის სხდომა

ხის დამმუშავებელთა და მშენებელთა შეერთების მოკლე დროში დამყარდა მათ შორის შეთანხმებული მუშაობა. სასურველია მუშაობა დამთავრდეს. ინსტრუქციები ეძლევათ და ხელმძღვანელობას უწევენ ყველა ფაბრიკის კომიტეტებს, ზოგიერთ გამგეობის წევრთა მათ მუშაობაში პირადი მონაწილეობის მიღებით.

ოქტომბერში იყო სულ ფაბრიკის კომიტეტის 53 სხდომა და 10 საერთო კრება. გახსნილია პროფტექნიკური სკოლა—3 განყოფილებით: ა) ელექტროტექნიკური, ბ) საგზაო-საშენებლო, გ) კერამიკული. კურსანტი არის სულ 120 კაცი.

ტარიფის ნორმა გამომუშავებელია პროექტი ქარხნის ს. მ. ხელფასის ახალ დაკმაყოფილებაზე გადაყვანის სახელდობ საპაიჯარო—ნატურალურ ლიაზე. ტარიფი გატარებულია საერთო პროფკავშირის მასშტაბით სახელობრივ ხე-ტყის სახის ქარხნებში შემოღებულია პრემიალური სისტემა.

კონფლიქტები სრულიად არ ყოფილა.

მოისმინა რა მოხსენება პრეზიდიუმის შესახებ, პლენუმი სცნობს მის მუშაობას დამაკმაყოფილებლად და წინადადებას აძლევს მრეწველობის გამოკვლევის შემდეგ შეუდგეს საფაბრიკო კომიტეტის სრულ რეორგანიზაციას, სამეურნეო ორგანოების შესახებ საერთო პროფესიონალური დებულებების თანახმად. პლენუმი წინადადებას აძლევს განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ სატყეო კომიტეტის და სახელმწიფო შენობათა კომიტეტის დაწყობილებით და სისწორით გამოყვანას.

ახალ სატარიფო პოლიტიკის შესახებ დადგენილია მიღებულ იქნას ყოველი ზომა ახალ პოლიტიკის საფუძვლების ცხოვრებაში გასატარებლად.

სამთამადნო მუშათა კავშირი.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ და პრეზიდიუმმა პროვინციის მუშაობის გაძლიერებლად და ადგილებთან კავშირის დამყარებლად დატოვეს ცენტრში მხოლოდ პრეზიდიუმი, დანარჩენი ამხანაგები კი დაიგზავნენ კავშირის სარაიონო განყოფილებებში სამუშაოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზომებს შედეგად დამყარდა კარგი კავშირი პროვინციასთან.

ოქტომბრის რევოლუციის 4 წ. თავის დღესასწაული პროვინციაში

თელავი.

პროლეტარიატის და მშრომელი მასსის განთავისუფლების ოთხი წლის თავის დღესასწაულისთვის მზადებას წინასწარ შეუდგა თელავის მაზრის სპეციალური კომისია.

კომისია და სამაზრო პარტკომი უმთავრესათ მიზნათ ისახავდნენ, რათა ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიეღო ფართო მშრომელ მასსას და ამ მხრივ მიზანი სავსებით მიღწეული იქმნა.

რამდენიმე დღით ადრე შეუდგნენ ქ. თელავის დაწესებულებები საზეიმოთ მზადებას. თითქმის ყველა დაწესებულებები და კერძო სახლები მორთული იყო პროლეტარულ რევოლუციის ბელადების სურათებით სხვა და სხვა რევოლუციონურ პლაკატებით და სხვ..

სამაზრო პოლიტგანმა მოუშვა დიაგრამა პლაკატი, რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების, რევოლიუციონური კალენდარი სურათებით და სხვა.

მაზრაში წინასწარ იქმნა დაგზავნილი ლიტერატურა-პლაკატები და დანიშნული იყო პუნქტები მიტინგების მოსაწყობად.

6 ნოემბერს № ლეგიონში გაიმართა საზეიმო მიტინგ-წარმოდგენა. მიტინგ წარმოდგენას წითელ არმიელები აღფრთოვანებით შეხვდნენ. მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. ბუაჩიძე და ფოფხაძე.

ამხ ბუაჩიძემ დაახასიათა მთელი განვლილი ოთხი წლეულის ბრძოლის და შემოქმედებისა. შეეხო როგორც შინაურ, აგრეთვე საგარეო მდგომარეობას, აღნიშნა ის კრიტიკული მდგომარეობა, რომლიდაც უხდებოდა გამოსვლა პროლეტარიატს, რომელიც ყოველგვარ დაბრკოლებებს და სიძნელეებს მიუხედავად, გამარჯვებული გამოვიდა.

შეეხო საერთო ეკონომიურ კურსის გარდატეხას, საბჭოთა რუსეთის უკანასკნელ წლების ლენინის ცნობას შესახებ. ფართოთ გადაშალა სურათი, თუ რის მიცემა შეუძლია დიდი ოქტომბრის რევოლუციამ მუშა-გლეხკაცობისათვის.

დასასრულ შეეხო სხვა და სხვა კონტრრევოლიუციონერთა მოქმედებას ოთხი წლის განმავლობაში და აგრეთვე მენშევიკების უკანასკნელ 1 ნოემბრის ავანტიურა-პროვოკაციას. შემდეგ გამოვიდა ამხ. ფოფხაძე, რომელიც ფართოთ ეხება უმთავრესად სამხედრო დარგში ამ ოთხი წლის განმავლობაში განაკეთებს.

მოხსენების შემდეგ წითელ არმიელების მიერ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად მიიღო. სხვათა შორის, რეზოლიუცია ხაზს უსვამს მენშევიკების უკანასკნელ ავანტიურას და მოუწოდებს საქართველოს მშრომელთ ფხიზლად თვალი ადევნონ სპარტიობების ტყეში გაზვევის რეკვიზიტობებს, რომლებიც ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ბოლოს დადგეს წარმოდგენა: „მახვეტელი".

7 ნოემბერს დილის 10 საათისთვის იწყეს დენა სხვა და სხვა პროფკავშირებმა წითელი დროშებით, მოწაფეებმა, რომლების რიგებით სავსე იყო ყველა უმთავრესი ქუჩები, № ლეგიონის სამმა ჯგუფმა, ახკომკავშირის წევრებმა და სხვა.

მიტინგი იხსნა ბაღის მოედანზე, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ: ფოფხაძე, გოგიჩაიშვილი და ბუაჩიძე, რომლებმაც განუმარტეს დამსწრეთ დღის მნიშვნელობა და ოთხი წლის ნამუშევარი საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ჯარნაწილის აღლუმი, რომელიც მიიღო № ლეგიონის თავმა.

მერე დამსწრე ხალხი, დაწესებულებების პროფკავშირების, მოწაფეების და სხვა ერთად გაემართა ბაღში, სადაც ამხ. ტუაჩიძემ მოკლედ გააცნო ბიოგრაფია ხალხს, სამი ათასამდე მშრომელთ, მოწაფეთ და წითელ არმიელთ, ფრიდრიხ ენგელსისა, რის შემდეგ გახსნილ იქნა უკანასკნელის ძეგლი.

ძეგლის გახსნას ვაშა და ინტერნაციონალის სიმღერა მოჰყვა.

შემდეგ იქმნა გახსნილი კ. მარქსის სახელობის მუშათა კლუბი.

წითელ-არმიელთ და მოწაფეთ დაურიგდათ სადღესასწაულო საჩუქრები.

საღამოთი თეატრებში წარმოდგენები უფასოთ იყო. წარმოდგენების წინ [illegible] მოხსენება ოთხი წლის თავის შესახებ.

ზეიმით იქმნა წაკითხული პირველი ლექცია სახალხო უნივერსიტეტში (კვირობით პირველად), ამ დღისათვის გამოუშვეს სპეციალური ნომერი „წითელი მშრომელი“.

დღესასწაულმაც მაზრაში ზოგად საზეიმო ხასიათი ჰქონდა იყო მოწყობილი მიტინგები შემდეგ რაიონულ ცენტრებში: იყალთო, წინანდალი, ენისელი, ახალსოფელი და ფშაველი და აგრეთვე სხვა და სხვა სოფლებშიდაც.

თ. ხორგუელი.

მარტვილის რაიონი

(სენაკის მაზრა).

7 ნოემბრის დღესასწაულს დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მარტვილის რაიონის მშრომელი გლეხობა. დილის 10 საათზე ყველა თემებში (7 თემში) გაიმართა ბავშვთა დილა. 2 საათზე იმართება საერთო მიტინგები ცალკე თითოეულ თემში, რომლებზედაც აუარებელ გლეხობას ჰქონდა თავი მოყრილი. მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა ის პუნქტები, სადაც იმართებოდა მიტინგები, რომლებიც იყო მორთული საზეიმო სხვადასხვა ლოზუნგებით და სურათებით. მიტინგებზე მწყობრათ და შეიარაღებულათ მოდიან კომუნისტური რაზმები ინტერნაციონალის სიმღერით და აგრეთვე მოწაფეებიც. რაიპარტკომისაგან წინასწარ იყო განაწილებული ამხანაგები თემებში. აგრეთვე რაიონში იყო ჩამოსული მაზრიდან ამხანაგი, მიტინგის გახსნას დიდის აღფრთოვანებით მოელოდნენ გლეხები [illegible] თუ რა შედეგი მისცა ოქტომბრის რევოლუციამ მუშათა კლასს. გლეხობა დიდი ყურადღებით უსმენდა ლაპარაკს. მიტინგზე ყველგან იქნა გამოტანილი რეზოლუციები დაახლოვებით ერთი და იგივე შინაარსისა: ოქტომბრის რევოლუციამ ჭეშმარიტად გაავლო მკაფიო საზღვარი ძველსა და ახალ მსოფლიოს შორის. მან მოსპო მემამულეთა კაპიტალისტების ბატონობა და ქვეყნის ბატონპატრონობა მისცა მშრომელ ხალხს. უდიდესმა სოციალისტურმა რეფორმებმა საბჭოთა სახელმწიფოში, როგორიც იყო: მიწის უსასყიდლოთ გლეხკაცობაზე გადაცემა, საერთო სავალდებულო და უფასო სწავლა-განათლება, რკინის გზის, მსხვილ ბანკების მართვა გამგეობიდან ბიუროკრატების და ყოფილი მეფის აგენტების ჩამოშორება და უბრალო მშრომელ მასაზე გადაცემა და სხვამ უთუოდ გაუმაგრა გული რუსეთის მშრომელ მასას, რამაც მისცა მას შესაძლებლობა შეექმნა უძლეველი წითელი არმია, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იცავდა საბჭოთა კუნძულს კონტრ-რევოლუციონურ ტალღებისაგან: დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის, ვრანგელის და მთელი ევროპის ბურჟუაზიისა ჩვენ გვწამს, რომ ერთად ერთი ფორმა მუშა სახელმწიფოსი არის საბჭოთა სისტემა თავისი პროლეტარული დიქტატურის სახით და კომუნისტური პარტიის მეთაურობით. ჩვენ გვწამს, რომ პროლეტარული რევოლუცია მალე მთელს მსოფლიოს მოედება და მოხდება საბოლოო განთავისუფლება შრომისა და კაპიტალისაგან. ჩვენ მზადა ვართ გავიღოთ მსხვერპლი მუშა-გლეხთა მთავრობის დასაცავად და ბრძოლაში კომუნიზმის დასამყარებლად.

ი. მონიავა.

ნოსირის თემი.

მოახლოვდა თუ არა მუშა გლეხების დღესასწაული, 7 ნოემბერი, სამი დღის წინ ნოსირის თემის მუშა გლეხები შეუდგნენ მზადებას. მორთეს ვარდ ყვავილებით დაწესებულებები, როგორც არის რევკომის სამმართველოს შენობა, სკოლების შენობა, ბიბლიოთეკა სამკითხველო და რკინის გზის ბაქანი, ამ ბაქანის გვერდით მდებარეობს მშვენიერი ამწვანებული მინდორი, სადაც იქმნა აღმართული ტრიბუნა, ვარდყვავილებით შემკული ლენინის სურათი და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური დროშები.

7 ნოემბერს, დილის 8 საათზე მეორე და მესამე ნოსირის კომაჩეიკის წევრები მწყობრათ სიმღერით გამოვიდნენ და დაირაზმნენ ნოსირის მინდორში საქართველოს გვერდით, სადაც შეხვდნენ შუახორის, საკლასინაოს და სადგურის კომაჩეიკის წევრები. მიულოცეს ერთმანეთს ბრწყინვალე დღესასწაული შემდეგ შეერთებულად დაირაზმნენ და შეუდგნენ ვარჯიშობას, შრომის გზა, სასწავლებლის წინ დიდ-პატარა ქალ-კაცით, მოწაფეებით სავსე იყო და აღტაცებით უყურებდნენ პარტიული ამხანაგების ვარჯიშობას და მათ თავაზიან მოქცევას.

ვარჯიშობა გათავდა 9 ნახ. საათზედ და სწორედაც მოვიდა ამხ. ს. თურქია, 10 საათზედ გაჭედილი იყო სასწავლებლის დარბაზი ბავშვებით და გარეშე დაპატიჟებული ხალხით. დარბაზი გაყოფილ იყო შუაზე, ნახევარში იყო მოწაფეები და ნახევარში კი მაყურებელი საზოგადოება. ბავშვთა დილა გახსნილი იქნა ინტერნაციონალის სიმღერით. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. თურქიამ, ახსნა 7 ნოემბრის დღესასწაული და მისი მნიშვნელობა მუშა გლეხობისთვის. მიულოცა ყველას დღესასწაული და მოუწოდა ახალგაზრდა მოწაფეებს შეესწავლათ მუშა გლეხების სიყვარული, რათა მომავალში უფრო შეგნებულათ მოაწყონ მუშური—გლეხური მართვა გამგეობა. შემდეგ გამოდიან დარბაზის შუადგილზე მოწაფეებიდან სათითაოდ და წარმოსთქვამენ ლექსებს, რაც მსმენელებზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს.

კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით. პარტიული ამხანაგები დროშით გაემართებიან სამიტინგო ადგილზე, სადაც იყო აღმართული ტრიბუნა. მათ მიჰყვებიან ახალგაზრდა კომკავშირის წევრები, შემდეგ მოწაფეები რიგ რიგზე დაწყობილი თავიანთი მასწავლებლებით მარჯვენა მხარეს იკავებენ ამხანაგები და ახალგაზრდობა. ტრიბუნის გარშემო ეწყობა მოწაფეები და მერე საზოგადოება. კრება იხსნება 12 საათზედ. სიტყვა ეძლევა ამხ. ს. თურქიას, რომელიც ვრცლად განუმარტავს და უხსნის მიტინგს 7 ნოემბრის მნიშვნელობას და აცნობს მუშური გლეხური მთავრობის გადადგმულ ნაბიჯს საქართველოში ამ 7 თვის განმავლობაში და მოუწოდებს საზოგადოებას მშვიდობიანი შრომისაკენ. მიტინგი სრულდება ნაშუადღევის 2 ნახ. საათზედ. ნოსირის თემის პარტიული ორგანიზაცია მადლობას უცხადებს ს. ოდიშარიას და ნოსირის მთლიანი სკოლების ამხ. მასწავლებლებს 7 ნოემბრის დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის.

დ. ოდიშარია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 81.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა საქართველოს მთავრობის ორგანოთა და საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და საზოგადო დაწესებულებათა ურთიერთობრივ მიმართვის წესის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს ერთის მხრით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ორგანოთა და მეორეს მხრით საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა და საზოგადო დაწესებულებათა შორის ურთიერთობრივი მიმართვის წესრიგი,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მყოფ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის ყოველნაირი მიმართვა რესპუბლიკის მთავრობის ორგანოებისადმი უნდა სწარმოებდეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით; აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობის ორგანოები მიმართავენ საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელს მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

2. ყოველ ოფიციალურ დოკუმენტს და აქტს, რომელიც გამოვა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მყოფ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან და რომელიც უნდა გადაეცეს რესპუბლიკის ორგანოებსა ძალა ექნება იმ შემთხვევაში, უკეთუ აღნიშნულ დოკუმენტს და აქტს დართული აქვს ვიზა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა, რომელიც ამოწმებს იმ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის ხელმოწერის სინამდვილეს, ვისგანაც დოკუმენტი ან აქტი გამომავალია და, აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში ამოწმებს აღნიშნული დოკუმენტის შინაარსს არსებითად.

3. ყოველ ოფიციალურ დოკუმენტს და აქტს, რომელიც გამოვა უცხო სახელმწიფოს მთავრობისა და საქართველოს საზღვრების გარეშე მყოფ საზოგადოებრივ ორგანოთაგან და რომელიც უნდა გადაეცეს რესპუბლიკის ორგანოებს, ძალა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ დოკუმენტს და აქტს დართული აქვს ვიზა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო წარმომადგენლისა უცხოეთში, რომელიც ამოწმებს იმ პირის ხელმოწერის სინამდვილეს, ვისგანაც გამომავალია ეს დოკუმენტი და აქტი და აგრეთვე ხსენებულ პირის საამისო უფლებამოსილობას.

4. გარეშე საქმეთა კომისარიატს უფლება ეძლევა ცალკე შემთხვევისათვის სათანადო უწყებასთან შეთანხმებით, მოახდინოს გამონაკლისი ამ დეკრეტისაგან.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ა. ხალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 106.

საქართველოს სოციალ. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა რევოლუციონური ტრიბუნალების მოქმედების გაერთიანების შესახებ.

საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ყველა რევოლუციონურ ტრიბუნალების მოქმედების გაერთიანების მიზნით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონური სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, თავისი თანამდებობისამებრ, შედის საქართველოს უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის შემადგენლობაში ამ ტრიბუნალის კოლეგიის წევრად.

2. საქართველოს უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, ამ ტრიბუნალის თავმჯდომარის დანიშვნით, შედის კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალის შემადგენლობაში ამ უკანასკნელი ტრიბუნალის კოლეგიის წევრად.

3. ბათომის გამაგრებულ რაიონის რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალის წარმომადგენელი, თავმჯდომარის დანიშვნით, შედის ქუთაისში და ბათომში არსებულ საქართველოს რევოლუციონურ ტრიბუნალის შემადგენლობაში უკანასკნელ ტრიბუნალების კოლეგიათა წევრად, ხოლო ქუთაისში და ბათომში არსებულ საქართველოს რევოლუციონურ ტრიბუნალის წარმომადგენლები ბათომის გამაგრებული რაიონის რევოლუციურ სამხედრო ტრიბუნალის შემადგენლობაში, ამ უკანასკნელი ტრიბუნალის კოლეგიის წევრებად.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნული პირნი მონაწილეობენ სათანადო ტრიბუნალების სასამართლო სხდომებში, როცა მათ დანიშნავენ ამ ტრიბუნალების თავმჯდომარენი, რის შესახებ მათ თავის დროზე უნდა ეცნობოს.

5. საქართველოს უზენაესი რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარე უნდა შეუთანხმდეს კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და ამ დადგენილების ასასრულებლად გასცეს სათანადო განკარგულება.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ა. ხალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 26.

ტფილისი—სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩუბინაშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის

ამიერ-კავკასიის საოლქო პარტიული თათბირი

რ. კ. პ. ც. კ. კავბიურო 1921 წ. 5 დეკემბრისათვის იწვევს ქალ. თბილისში პარტიული ორგანიზაციების ამიერ-კავკასიის საოლქო თათბირს.

ამ თათბირის დღიურ წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია.
2. პარტიის შესამოწმებელ კავკასიის საოლქო კომისიის მოხსენება.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. დრო და დღის წესრიგი ამიერ კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მომავალ ყრილობისათვის.

თათბირზე მოწვეულია წარმომადგენლები ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის ყველა ცენტრალური კომიტეტები, წითელი არმია, რ. კ. პ. ც. კ. კავბიურო, ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფსაბჭო, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პროფსაბჭოები, წარმომადგენელნი ოლქებისა: ნახიჩევანისა, აბხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ზანგეზურის; წარმომადგენლები შემდეგი ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებისა: თბილისი, ბაქო, ერივანი, ბათომი, განჯა, ქუთაისი, ალექსანდროპოლი, შუშა, ლენქორანი, შემახა, ზაქათალა, ფოთი, ხაშური, ოზურგეთი, ლეჩხუმი, თელავი, ტყიბული, ქიათურა.

რ. კ. პ. ც. კ-ს კავბიუროს მდივანი ნაზარეტიანი.

ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს შენობაში (მუშათა სასახლე) შესდგება

ს. კ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 საერთო საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.
2. თბილისის კომიტეტის ანგარიში და პარტიული აღმშენებლობის უახლოესი ამოცანები.
3. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს არჩევნები.
4. თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები,
5. სხვა და სხვა საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა: 10 წევრიდან ერთი დელეგატი.

წითელ არმიიდან: კ. ც. არმიის პ. მმართველობა გზავნის 15 დელეგატს გადამწყვეტი ხმის უფლებით; საქართველოს წითელი არმიის პოლიტგანი—5 კაცს, კომ. ახ. კავშირის ც. კ. და თბ. კ.—5 დელეგატს.

თბილისის კომიტეტის ბიურო

თბილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

მოთავსებულია მუშათა სასახლეში (პირველი სართული, შრომის კომისარიატის ყოფილი ბინა).

ყოველ გვარ ცნობების მიღება შეიძლება საღამოს 4—7 საათამდი. ტელეფონი № 15—18.

კომისიის მდივანი: ყურულაშვილი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ოთხშაბათს, 30 ნოემბერს დღის 12 საათზე თბ. კომიტეტის ბინაზე შესდგება სხდომა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის საგარნიზონო, რაიონულ და კავშირებთან არსებულ კომისიებთან ერთად.

კომისიებმა უნდა წარმოადგინონ სწორი ცნობები ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ რაიონსა, კავშირსა და არმიაში.

კომისიის მდივანი ყურულაშვილი.

მეოთხე რაიონის კომისია

წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ხუთშაბათს დილის 10 საათისათვის

ბერძენიშვილი შალვა, კიკალეიშვილი ოკრია, ნაზარეტიანი მარიამი, ოგოროდნიკოვი აბრამ, რუხაძე ნესტორ, ისაევი მარკელიტა, ნიტაბუხ ლევ, კალაძე ანეტა, ივანოვი ვასილი, ტერ-მოსესოვი პეტრუზა, ჩიხაძე დავით, ცომაია პარმენ, ხანკალამოვი სოლომონ, დანელია ვალოდია, კარტოზია სიმონ, შენგელია არჩილ, ლუკოვსკი კონსტანტინე. გოლდმანი ილია, ნუცუბიძე აგნესა, ბოლქვაძე ფეკლა, დუგაშვილი [illegible], ლომჯანიძე სიმონ, ტონოსიანი არტემ, არაქელიანი სარქის, ავედიკოვი არმენაკ, მურადოვი, ერვანდ, კარაპეტოვი დავით, ტყემალაძე ალექსანდრე, კურდგიანი საიკ, სოკოლინსკაია ევგენია, ავეტისიანი ბაღდასარ, დოგუროვი კონსტანტინე, ხოშერიკი იაკობ, პოპოვი ივანე, ბიჩკოვი კონსტანტინე, პაპაიანი ივანე, კვანაძე ნიკოლოზ, სააკოვი ერვანდ, ენგიბაროვი ალაბექ, ჩიხლაძე ალექსანდრე, ჯიჭყონაძე აკაკი, დუბენსკი მიხაილ, დეინგა აკაკი, ბუდანოვი ივანე, ვასილიუკი ნიკოლოზ მანუკიანი არშაკ, ოსიპოვი არისტაკეს, ბოკერია მიხეილ, კიკალიძე ნეოფიტე, მინაზარეკიანი არამ, ჩოლოყაშვილი, ჩერენკოვი პავლე, სურდული ვასილ, გამიხოვა-სიბირცოვა, მეძმარიშვილი ალექსი, ბახტაძე ნიკოლოზ, სტანინი, ხიტაროვი რაფი, ხუნდაძე გრიგოლი, ფირსოვი გრიგოლი, ივანიშვილი ვასილი, ოსეპიანი აშხენ, მკრტიჩიანი არშაკ, ენტრაუტი ალექსანდრე, კვანტალიანი ივანე, ოსიპოვი არშაკ, მირიმანოვი ბორის, აბაშიძე მიხეილ, ჯაპარიძე სერგეი, კილენტი ვლადიმერ, მიხაილოვიჩი ილია ივანეს ძე, კუჩუაშვილი კონსტანტინე, მატვეევი მიხაილ, ბოგდანოვი ივანე, ცარმუტოვი ვარტან, პოზნინი ბოლესლავ, ოშაკმაშვილი ალექსანდრე, კალანდაძე გიორგი, დოლაბერიძე გიორგი, მოშკევიჩი მოისეი, მენსაკი ვლადიმერ, ბარტყულაშვილი ფანია, ქელტოვა ეკატერინა, კილოსანიძე ვასილი, ღოლობერიძე ამბერგი, გოგოლაძე ეპიფანე, შენგელია იონა, ნიკოლაევი ნიკოლოზ, დაგუნოვა ტატიანა, ტომინი მიხეილ, გუმბანი ანნა, კაჩაროვი პეტროს, ევსეენკო ევსეი, აპრიამოვი ავეტიკ, პეტროსიანცი ანნა, კაზიანი ტიგრან, გრიგოროვი ზამბაკ, ლარიაშვილი ლევონ, ბერიშვილი დავით, კოლიაზოვა მელანია, მამედოვი ეზობ, მირზოევა ოლღა, მაკირტიჩიანი აბგარ, იკაპიანი ალექსანდრე, აფაქიძე ანდრეი, ზეინალოვი იბრაგიმ, ასრიევი ასტვაცატურ, აბას-ზადე ალესკერ, არუთინიანი მოსეს, არუთინოვი ოგანეზ, არუთინოვი ვაგან, ამირიანცი სერიკ, ბრეგვაძე ივან, ცომაშვილი მიხეილ, ბოგდანოვი ანუშია, ბირიუკოვი სიმონი, ბერუქნიშვილი მირიან, ბერუმნიშვილი ივან, ბიკაშვილი პეტრე, ბრეგვაძე ალექსანდრე, ბაბანოვი ოგანეზ, ბადრიძე სოკრატ, ვართაპეტიანი ლევონ, ვართანოვი აბრამ, ჩიპკი გრიგორი, გოცირიძე ლუბა, გძელიშვილი სიმონ, გასპარიანცი ხაჩატურ, გადახაბაძე ალექსანდრე, დარპინიანი მათეოს, ზურაბაშვილი არშაკ, ზაქარია ალექსანდრე. წიკლაური გრიგოლი, ჩეპენოვი ივან, ჩერქეზიშვილი ალექსანდრე, ლომაია აკაკი, მარდალიშვილი ნინა, მუსიევა სოფიო, მიხნევიჩი ოლგა, მეკრეკიშვილი ქეთო, მერგენტალერი რეზალია, მიხულარია ნინა, მეცხიშვილი გიორგი, მდივანი ბენიამენ, მელაძე ალექსანდრე, მადერი ფრიც, მკრტიჩიანი ალექსი, კალანდაძე კონსტანტინე, ნალბანდიანი არამ, ნასირ მამედ ალი, ოსიპოვი ვიქტორ, ორაგველიძე კარლ, პაპაძე სპირიდონ. პეტროსიანი ვანიუშა, პაპიანი აიკ, პარკოსაძე მიხაილ, რედინა აიდა, სიხარულიძე ნესტორ, სამადაშვილი მიხაილ, სტეპანოვა მარია, სოხაძე პიმენ, სლავინსკი ანდრეი, სეპაკი ალექსანდრე, სანხარაძე ივან, სადრაძე იოსები, საპოვიჩი საულ, სააკიანი ნინა, სოხაძე მიხაილ, სუჯაშვილი ვლადიმერ, სუკიასოვა აგაიდა, თვალტრეიძე გიორგი, ტატოსოვი ხაჩატურ, ტერ-ოვანესოვა ოლგა, ტარაიანცი კარაპეტ, თვალაძე კალისს, ტაშკალი ვალემიკ, თალაკვაძე ელვასი, თოფურიძე ნიკოლაი, ხაპოიანი ნინა, ხახაშვილი ივან, ხუნდაძე გრიგორი, მაკოევი ნიკოლაი, ტედიევა გ. იორდანოვი ივან, ტერ-პოგოსოვი არამ, შერმადინი ივანე, ენუქიძე ვლადიმირ, კოროტკოვი ნიკოლოზ, კუზნეცოვი ევგენი, კორინთელი ნესტორ, კირშენბლატი მიხეილი, კიკაბიძე ალექსანდრე, კორნშტეინი ნიკოლაი, შაზოვი სერგეი, პიტელმან კოგანოვსკაია, კობახიძე აკაკი, კალანდაია ვენედიქტ, კუზნეცოვი ალექსანდრე, ქურდიანი ლევონ, კალანდაძე გიორგი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 4 ამა დეკემბერს დილის 10 საათზე დანიშნულია საკომერციო ნაწილში (ვაგზლის ქუჩა № 1).

იჯარით გაცემა ვაგონ რესტორანისა, რომელიც ივლის 1 დეკემბრიდან სასწრაფო მატარებლით ბათომ და ბაქოს შუა. განცხადებები მიიღება ყოველ დღე დილის 10 დან შუადღის 1 საათამდის. უკანასკნელი დრო განცხადების მიღებისა დილის 10 საათი 4 დეკემბრისა.

საკომერციო ნაწილის უფროსის მაგიერ ი. თუხარელი.

ჟურნალი „ქურა“

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა“ იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5.) სანდრო ეულის სახელზე.

პარტიული

—საქართველოს კომპარტიის აგიტპროპის განყოფილება თხოვს გამოცხადდნენ დღეს ოთხშაბათს 30 ნოემბერს 2 საათზე საქართველოს რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობაზე მყოფი სამაზრო რევკომების შემდეგ წარმომადგენლებს:

1) სამხრეთ ოსეთის, 2) ბორჩალოს, 3) ახალქალაქის, 4) ახალციხის, 5) დუშეთის, 6) თიანეთის.

ც. კ. აგიტ-პროპის გამგე: თუმანოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქ. კომუნისტური პარტიის წევრებს და კანდიდატებს, პარტიულ დისციპლინის წესით გამოცხადდნენ ხუთშაბათს 1 დეკემბერს სად. 5 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე.

1) ლეჟავა ვლადიმერ, 2) ბახტაძე სერგო, 3) გვაზავა ნიკოლოზ, 4) ნუცუბიძე გრიშა, 5) ფოცხალოვა ივანე, 6) ნუცუბიძე ევგენი, 7) ნუცუბიძე შალვა, 8) ხარებავა პატულია, 9) ზედგინიძე გიორგი, 10) კალანდარიშვილი ირაკლი, 11) კლდიაშვილი დიტო, 12) ასათიანი ანტიოხი, 13) ხუნდაძე ჰულა, 14) შენგელაია არჩილ, 15) ხუნდაძე გრიგოლ, 16) ქორიძე გრიგოლი, 17) ცომაია კლიმენტი, 18) ცომაია პარმენ, 19) ალიაშვილი ივანე, 20) ნუცუბიძე სამსონ, 21) ქვარიანი დავით, 22) კორძახია პლატონ და 23) ბაკურაძე ევგენი.

პროფესიული

— პრეზიდიუმი ცენტრალური გამგეობის სურსათზე და ქიმიურ მრეწველობაში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირისა ნიშნავს ხუთშაბათს პირველ დეკემბერს 5 საათზე ნაშუადღევს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში ყველა კავშირის წევრთა საერთო კრებას დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. წესრიგი: არჩევნები მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში ფედერაცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების

პრეზიდიუმი.

— სახალხო კვების და საერთო საცხოვრებელ მომუშავეთა კავშირს შრომის დაცვის განყოფილება ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ 2 დეკემბერს საღამოს 5 საათზე მუშათა სასახლის მცირე დარბაზში წაკითხული იქნება ლექცია შრომის დაცვის შესახებ, კავშირის წევრების დასწრება სავალდებულოა.

სხვა და სხვა

— დამწუხრებული დედა ტატიანა ვლადიმერის ასული იანუშევიჩი—ეშენდეევისა დაეძებს 1919 წ. ივნისიდან უკვალოდ დაკარგულ თავის 13 წლის შვილს, თბილისის რეალურ სასწავლებლის ყოფილ მოწაფეს, ხორია ლებედევს.

ვისაც კი მოეპოვება მის შესახებ რაიმე ცნობები, მოგვაწოდოს შემდეგი მისამართით: [illegible], გიმნაზიის ქუჩა № 29 ბინა № 1 ვასილიევს იანუშევიჩისათვის. ნამდვილი ცნობების მომწოდებელს მიეცემა ათი მილიონი მანეთი ჯილდოთ.